პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 218 (5319) | ხუთშაბათი, 22 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ცეცხლთან თამაში („პრავდის" მოწინავე)
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. VI თავის დასასრული, თავი VII (მე-2 და მე-3 გვ.).
ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი" შეხვდა ყინულმჭრელ „ლიტკეს" (1-ლი გვ.)
ხალხური სიმღერისა და ცეკვის რესპუბლიკური ოლიმპიადა (მე-4 გვ.)
განახლებული თბილისი (მე-4 გვ.)
უცხოეთში:
ალვარეს დელ ვაიოს სიტყვა ერთა ლიგის პლენუმზე (მე-4 გვ.)
ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილებანი (1-ლი გვერდი)
ჰენლაინელები შეტაკების პროვოკაციას ახდენენ (1-ლი გვერდი)
ჰენლაინელ პროვოკატორების შეიარაღებული თავდასხმა (1-ლი გვ.)
გერმანელთა 18 ყუმბარმტყორცნი ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე (1-ლი გვ.)

ცეცხლთან თამაში

ევროპა შფოთიან დღეებს განიცდის. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების დასტურითა და თანხმობით გერმანიის ფაშიზმი აპირებს დაანაწილოს ჩეხოსლოვაკია, მოჰგლიჯოს მას და დაიპყროს სუდეტის ოლქი. ამ მიზნისათვის გერმანელმა ფაშისტებმა აამოძრავეს ყოველივე საშუალება: შანტაჟი, მუქარა, ძირგამომთხრელი მუშაობა თავისი ჰენლაინური აგენტურისა ჩეხოსლოვაკიის შიგნით და, დასასრულ, ჰენლაინელთა აშკარა ამბოხება, პუტჩი ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წინააღმდეგ.

თავის დამპყრობლურ პოლიტიკას გერმანიის ფაშიზმი ჰფარავს ყვირილით „თანასწორობის" შესახებ, ვერსალის ხელშეკრულებისაგან გერმანიის „განთავისუფლების" შესახებ. მაგრამ სინამდვილეში ვერსალზე როდია ლაპარაკი. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიის წინანდელი ტერიტორიის ნაწილი გადაეცა საფრანგეთს, (ელზას-ლოტარინგია), ნაწილი—დანიას (ჩრდილო-შლეზვიგი), ნაწილი—პოლონეთს (ეგრეთწოდებული პოლონეთის კორიდორი). გერმანიის კოლონიები უმთავრესად ინგლისს გადაეცა. მთელმა მსოფლიომ იცის აგრეთვე, რომ ვერსალის ხელშეკრულებით ჩეხოსლოვაკიას გერმანიის ერთი მტკაველი მიწაც კი არ მისცემია. ჩეხოსლოვაკია არ შედიოდა გერმანიის შემადგენლობაში ისევე, როგორც გერმანიის შემადგენლობაში არ შედიოდა გერმანიის ფაშიზმის მიერ დღეს უკვე დაპყრობილი ავსტრია.

ეს უდავო ფაქტი, რომელიც ნამდვილ შუქსა ჰფენს გერმანიის პრეტენზიებს ჩეხოსლოვაკიისადმი, არ შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას დიპლომატიური სიცრუის არავითარი საშუალებით.

გერმანიის ფაშისტები ირწმუნებიან, რომ სუდეტის ოლქი მათ ესაჭიროებათ „ნაციონალური ერთიანობის" განსახორციელებლად, ალბათ ამ „ნაციონალური ერთიანობისათვის" ემხრობა ჰიტლერი მუსოლინის, რომელსაც სასტიკ ნაციონალურ ჩაგვრაში ჰყავს სამხრეთ-ტიროლის გერმანელი მოსახლეობა. სავსებით ცხადია, რომ მაღალფარდოვანი ფრაზები „ნაციონალური ერთიანობის" შესახებ მხოლოდ იმ ცდების საფარია, რომ ჰიტლერმა ევროპის სახელმწიფოთა ახალი საზღვრები გამოსჭრას **ძალადობის გზით,** ინგლისის კონსერვატორებისა და მათი ფრანგი მეგობრების დასტურით.

შევეცადოთ წარმოვიდგინოთ, სადამდე მიიყვანს მსოფლიოს „ნაციონალური ერთიანობის" განხორციელების ასეთი გზა. თუ დღეს ითვლიან, რამდენი გერმანელი და რამდენი ჩეხოსლოვაკი ცხოვრობს. სუდეტის ოლქში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ნაწილს შეადგენს, ხვალ ხომ ადვილად შეიძლება დღისწესრიგში დაისვას ანალოგიური საკითხები, რომლებიც საეჭვოა სასიამოვნო იქნეს ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეებისათვის. მაგალითად, ინტერესს არ არის მოკლებული საკითხი იმის შესახებ, თუ ინგლისელთა რამდენი პროცენტი ცხოვრობს ინდოეთში, ფრანგთა რამდენი პროცენტი ცხოვრობს ინდო-ჩინეთში ან მაროკოში და სხვ. კარგად ცნობილია, რომ ეს პროცენტი უაღრესად მცირეა, ცნობილია, რომ პალესტინაში, რომელიც ინგლისს ემორჩილება, ინგლისელები მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელნი არიან. რა იქნებოდა, რომ, მიუხედავად საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, დასმულიყო საკითხი ბრიტანეთის იმპერიისაგან ინდოეთის ჩამოშორების შესახებ, საფრანგეთისაგან ინდო-ჩინეთის ჩამოშორების შესახებ და ასე შემდეგ? ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები საეჭვოა მზად იყვნენ მივიდნენ ასეთ დასკვნებამდე, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობენ მათი პოზიციებიდან სუდეტის ოლქის საკითხში.

რომ ამ საკითხებს სრულიადაც არა აქვთ აკადემიური ხასიათი, ამას თუნდაც ის გარემოება გვიჩვენებს, რომ იტალიის ფაშისტური პრესა უკვე დიდიხანია მუშაობს ტუნისში ფრანგი და იტალიელი მოსახლეობის შეფარდებითს გამოანგარიშებაზე. ცხადია, რომ გერმანიის ცდაში დაიპყროს ჩეხოსლოვაკია, ლაპარაკია არა „ნაციონალური ერთიანობის" განხორციელებაზე, არამედ ძალადობით ახალი საზღვრების გამოჭრაზე სხვისი ტერიტორიების აშკარად დაპყრობის მიზნით. ჩვენი დრო მდიდარია ისეთი „შემთხვევებით", რომელთაც პრეცედენტი არა აქვთ მსოფლიო ისტორიაში. ერთერთ ასეთ „შემთხვევას" წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის წასვლა მეორე სახელმწიფოს მეთაურთან მის წინაშე ქედის მოსახრელად — ჩემბერლენის ჰყბადაღებული დარბაზობანი ჰიტლერთან. მაგრამ გაცილებით უფრო სერიოზულ მოვლენას წარმოადგენს თავისი უმაგალითობით ევროპის ერთერთი სახელმწიფოს დანაწილებისა და დამონების ცდა „საყოველთაო მშვიდობიანობის" დროს და, ვითომდა, ამ უკანასკნელის სახელით; ამასთან, სწორედ იმ სახელმწიფოთა დასტურითა და ლოცვა-კურთხევით, რომელთაც არაერთხელ დაუფიცნიათ საჯაროდ პატივი სცენ და დაიცვან ჩეხოსლოვაკიის საზღვრები.

პოლიტიკა ფაშისტ აგრესორებთან შეთანხმებისა პატარა ქვეყნების ხარჯზე თავიდანვე შეიცავდა არა მარტო უდიდეს საფრთხეს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმისათვის, არამედ უშუალო საფრთხესაც ასეთი შეთანხმების გზაზე დამდგარი ინგლისისა და საფრანგეთის ყველაზე საარსებო ინტერესებისათვის, ვინაიდან ამ პოლიტიკას ის თვისება აქვს, რომ მას აუცილებლად მივყავართ ფაშისტთა მადის განუწყვეტელ ზრდამდე. გარიგების ფასი ყოველ ნაბიჯზე მატულობს. ახლა ამ ფასს წარმოადგენს იმ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოსპობა და დანაწილება, რომელიც ბარიერია სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანული ექსპანსიისათვის და ჰიტლერის შემდგომი დამპყრობლური გეგმების განხორციელებისათვის. ამ ვითარებაში არ შეიძლება არ წამოიჭრას კანონიერი და ბუნებრივი კითხვა: სად გაჰქრა საერთაშორისო ხელშეკრულებები და რა ფასი აქვს მათ, არსებობს თუ არა კიდევ საერთაშორისო უფლება, თუ იგი გახდა გროვა „ქაღალდის ნაგლეჯებისა", „მეორე იმპერიის" კანცლერის ბეტმან - ჰოლვეგის მოსწრებული სიტყვა რომ ვიხმაროთ, რომელიც მან 1914 წელს წამოისროლა, როდესაც კაიზერის ურდოები ზვავივით შეიჭრნენ „ნეიტრალურ" ბელგიაში და პარიზსა და ლონდონს ემუქრებოდნენ.

„დემოკრატიულ" სახელმწიფოთა მიერ ფაშისტური ყაჩაღობის ნებაზე მიშვების შედეგად, საერთაშორისო უფლების დაცვა უფრო და უფრო იშვიათი გამონაკლისი ხდება, ხოლო საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევა — უფრო და უფრო ზოგადი წესი. პატარა სახელმწიფოებს თვალწინ უდგათ ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის მაგალითები და მათ უფრო და უფრო ნაკლებად სჯერათ ინგლისისა და საფრანგეთის დაპირებები, რომ ისინი დაიცავენ მათს დამოუკიდებლობას ფაშისტ დამპყრობელთა თავდასხმებისაგან.

ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ლაშქრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ პოლონეთის მმართველი წრეები. პოლონეთის რეაქციული პრესა დიდი ხმაურით უჭერს მხარს სუდეტის ოლქის ჩამოგლეჯის თავხედურ ჰიტლერულ გეგმებს, ჩეხოსლოვაკიის დანაწილების გეგმებს, საერთაშორისო ხელშეკრულებათა საბოლოო ლიკვიდაციის გეგმებს. პოლონეთის რეაქციული პრესა ბანს აძლევს ჰიტლერს და გაჰყვირის სუდეტელ გერმანელთა და ჩეხოსლოვაკიის სხვა ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების შესახებ. ამავე დროს კი, თუ გამოვიანგარიშებთ, რამდენი პოლონელი ცხოვრობს პოლონეთის სახელმწიფოს უკრაინულ და ბელორუსულ ოლქებში, მაშინ საეჭვოა ამ გამოანგარიშების შედეგი ამ ოლქების პოლონეთისადმი კუთვნილების სასარგებლო საბუთი გამოდგეს. შემდეგ, თუ დავინტერესდებით საჩოთირო საკითხით, თუ როგორია ნაციონალური თვითგამორკვევის ის უფლება და როგორია საზოგადოდ ის უფლებები, რომლებიც პოლონეთის უკრაინულ და ბელორუსულ მოსახლეობას აქვს, მაშინ შედეგი არანაკლებ მჭერმეტყველური აღმოჩნდება.

საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მტკიცედ და ბოლომდე იცავს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს, საერთაშორისო უფლებისა და უშიშროების საქმეს. ჩვენი ქვეყანა, რომელმაც ბოლო მოუღო ყოველგვარ დამონებას თავის ფარგლებში, გადაჭრით წინააღმდეგია ყოველგვარი ნაციონალური და კოლონიური დამონებისა, სადაც არ უნდა ჰქონდეს მას ადგილი. საბჭოთა კავშირი გულდამშვიდებით უყურებს საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი იმპერიალისტი მტაცებელი განმგებლობს ამათუიმ კოლონიაში, ამათუიმ დამოკიდებულ სახელმწიფოში, რადგან იგი ვერ ხედავს განსხვავებას გერმანელ ან ინგლისელ მტაცებელთა შორის. მაგრამ ეს საკითხები არ შეიძლება განურჩეველი იყოს დასავლეთ ევროპის „დემოკრატიულ" სახელმწიფოთათვის. ეთანხმებიან რა მტაცებლობას ჩეხოსლოვაკიის მიმართ, ლოცვა-კურთხევას აძლევენ რა ამ მტაცებლობას, ინგლისი და საფრანგეთი **ცეცხლს ეთამაშებიან,** რადგან ხვალ შეიძლება მათ წინაშე იგივე საკითხები წამოიჭრას აზიისა და აფრიკის ზოგიერთი „ოლქების" მიმართ, რომლებიც „დემოკრატიულ" სახელმწიფოებს ექვემდებარებიან.

„პრავდის" მოწინავე, 21/IX.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ა. პ. გაგარინი დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილებანი

პრაღა, 20 სექტემბერი (საქდესი). უცხოეთის პრესაში იმ ხმების გავრცელებასთან დაკავშირებით, თითქოს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მიიღო ინგლისისა და საფრანგეთის წინადადება, ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადაჭრით უარჰყოფს ამ ხმებს, როგორც სინამდვილისადმი შეუფერებელს.

გადაწყვეტილებანი ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა კაბინეტისა, რომლის სხდომაც მთელ დღეს გრძელდებოდა ინგლის - საფრანგეთის წინადადებათა შესახებ, გამოქვეყნებული არ არის. ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებს გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია თუ როგორ უყურებს ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ მისთვის გადაცემულ წინადადებებს. კომუნიკეს სიტყვით, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პასუხი საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნას შემდგომი დიპლომატიური მოლაპარაკება „მორიგების სულისკვეთებით, რასაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მუდამ იჩენდა". როგორც საქმესთან გაცნობილ ჟურნალისტთა წრეები იტყობინებიან, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებათა დედაარსი შემდეგში მდგომარეობს:

1. ჩეხოსლოვაკიის მთავრობას არ შეუძლია ერთბაშად გასცეს პასუხი ინგლის-საფრანგეთის წინადადებებს, ვინაიდან ტერიტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხის გადასაჭრელად, რასაც დაჟინებით მოითხოვენ ინგლისი და საფრანგეთი, საჭიროა პარლამენტის გადაწყვეტილება და ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის შეცვლა. ეს კი უფრო ხანგრძლივ ვადას მოითხოვს.

2. თუ საკითხს განვიხილავთ ისე, რომ იგი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ფარგლებს ცილდება და სადავო საკითხს წარმოადგენს გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიას შორის, მაშინ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა წინადადებას იძლევა მიმართონ საარბიტრაჟო ხელშეკრულებას, რომელიც ორივე სახელმწიფოს შორის დადებულ იქნა 1925 წელს. (ამ ხელშეკრულების თანახმად, ორივე მხარე განსაზღვრავს საარბიტრაჟო კომისიის შემადგენლობას იმ სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან, რომელნიც როგორც გერმანიის, ისე ჩეხოსლოვაკიის მიერ ცნობილნი იქნებიან ობიექტურ პირებად დავის გადაწყვეტაში").

ჰენლაინელები შეტაკების პროვოკაციას ახდენენ

ლონდონი, 19 სექტემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სელბიდან (გერმანია) იუწყება, ჰენლაინელთა წარმომადგენელმა განუცხადა მას, რომ გუშინდელი თავდასხმა ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო საბაჟო პუნქტზე გრუზბახის მახლობლად სავსებით შეესაბამებოდა ჰენლაინელთა ახალი კორპუსის სარდლობის დავალებას. „16 სექტემბერს, ღამით, —სთქვა მან,—ჩვენ ტყვიამფრქვევის ცეცხლითა და ყუმბარებით დავანგრიეთ საბაჟო საგუშაგო და ბარაკები ნიუჰაუზენში. გუშინ, საღამოთი ჩვენ მოვაწყვეთ ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმა ავსტრიის საზღვრის მხრიდან. ასეთი თავდასხმა მომავალშიც გაგრძელდება".

ჰენლაინელ ლიდერთა მუქარა

პრაღა, 20 სექტემბერი (საქდესი). გუშინ დრეზდენში შესდგა კრება გერმანიაში გაქცეული 20 ათასი ჰენლაინელისა, რომლებიც ფორმირებულ იქნენ ეგრეთწოდებულ „სუდეტელ გერმანელთა კორპუსად". კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ჰენლაინელთა ლიდერები სებეკოვსკი და ზანდნერი, რომელთაც განაცხადეს, რომ უახლოეს დღეებში „სუდეტელ გერმანელთა კორპუსი", რომელიც გერმანიის არმიამ შექმნა და რომელსაც იგი ხელმძღვანელობას უწევს, შევა სუდეტის ოლქში და იარაღით განახორციელებს ოლქის შეერთებას „მესამე იმპერიასთან".

ჰენლაინელი პროვოკატორების შეიარაღებული თავდასხმა

პრაღა, 20 სექტემბერი (საქდესი). 19 სექტემბერს, ღამით, და დღეს, დილით მთელ რიგ ადგილებში გერმანიის ტერიტორიიდან ჩეხოსლოვაკიაში შემოსულ ჰენლაინელთა შეიარაღებული ბანდები თავს დაესხნენ ჟანდარმთა სამმართველოს სადგომებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს. ქალაქ გაბარტიჩეში ფრიდლანდის მახლობლად 18 კაცისაგან შემდგარი ბანდა თავს დაესხა საბაჟოსა და ჟანდარმთა სამმართველოებს. ჟანდარმერიის ერთეულებმა ხელყუმბარებით გარეკეს ჰენლაინელთა ბანდები.

დაბა დუბში ბანდიტებმა დაასახიჩრეს ჩეხოსლოვაკიის არმიის გუშაგი ჯარისკაცი. ქალაქ სტაროსტინოში 13 კაცისაგან შემდგარი ბანდა თავს დაესხა ჟანდარმთა სამმართველოს, ფოსტას, ტელეგრაფსა და მუნიციპალიტეტის შენობას. ჯავშნიანი ავტომობილით მოსულმა ჟანდარმთა და ჯარისკაცთა რაზმმა ბანდა დაბიდან გარეკა. დაჭრილია 6 ჟანდარმი.

ანალოგიურ ფაქტებს ჰქონდა ადგილი სამხრეთ ჩეხეთის მთელ რიგ სხვა პუნქტებშიც.

ამასთან დაკავშირებით, ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ გამოიტანა გადაწყვეტილება საგანგებო სასამართლოს შემოღების შესახებ ფრიდლანდის, ტროუტნოვისა და ბრუმოვის ოლქებში. განსაკუთრებული სასამართლოები 19 ოლქში მოქმედებენ.

უთანხმოება საფრანგეთის მთავრობაში ჩეხოსლოვაკიის საკითხზე

პარიზი, 20 სექტემბერი (საქდესი). გადმოგვცემენ, რომ გუშინ გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეს მიუხედავად, საფრანგეთის მთავრობაში უთანხმოებას აქვს ადგილი ჩეხოსლოვაკიის საკითხში. მინისტრებმა კამპინკიმ, პოლ რეინომ, მანდელმა, კეიმ და ჟანტენმა თითქოს განაცხადეს, რომ თუ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა არ მიიღებს ინგლის-საფრანგეთის გეგმას, მაშინ ჩეხოსლოვაკიის საკითხი ხელახლად უნდა იქნას გადასინჯული საფრანგეთის მთავრობის მიერ, ბონესა და შოტანის აზრით კი, საფრანგეთი „თავისუფალი უნდა იყოს ჩეხოსლოვაკიის უარით გამოწვეულ შედეგებისაგან".

უკანასკნელი ცნობები

ჰიტლერის შეხვედრა უნგრეთის მინისტრებთან

ბერლინი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც უკვე ვიტყობინებოდით, გუშინ ბერხტესგადენში მოხდა უნგრეთის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკება ჰიტლერთან. უნგრეთის მხრიდან ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი იმრედი, საგარეო საქმეთა მინისტრი კანია და უნგრეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი კერესტეშ-ფიშერი. თათბირში მონაწილეობას ღებულობდა რიბენტროპი. უნგრებმა განაცხადეს თავიანთი უფლებები ჩეხოსლოვაკიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც უნგრების ნაციონალური უმცირესობით არის დასახლებული.

ჰიტლერმა გუშინვე რიბენტროპის თანდასწრებით მიიღო პოლონეთის ბერლინელი ელჩი ლიპსკი.

20 სექტემბერს ჰერინგი ხანგრძლივ მოლაპარაკებას აწარმოებდა უნგრეთის რეგენტთან (მმართველთან) ხორტთან, რომელიც უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანიაში იმყოფებოდა. გუშინ ჰერინგი და ხორტი გაემგზავრნენ „სანადიროდ" აღმოსავლეთ პრუსიაში.

გერმანელთა 18 ყუმბარმტყორცნი ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე

პრაღა, 21 სექტემბერი (საქდესი). გუშინ დღის 11 საათზე გერმანიის სამხედრო ავიაციამ მასობრივი თავდასხმა მოახდინა ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე ფრიდლანდის (ჩრდილოეთ ჩეხეთი) ახლოს, სადაც 20 სექტემბერს ღამით გერმანიის ტერიტორიიდან ადგილი ჰქონდა ჰენლაინელთა შეიარაღებული ბანდის თავდასხმას. გერმანელთა 18 ყუმბარმტყორცნმა დემონსტრატიულად გადაიფრინა საზღვრის გასწვრივ. დღის 2 საათზე გერმანიის სამხედრო თვითმფრინავმა კვლავ გადალახა ჩეხოსლოვაკიის საზღვარი და გადაფრინდა სოფელ ჩერნოუსზე, ფერტოლტიცსა და გაიზე (ფრიდლანდის ახლოს), რის შემდეგაც დაბრუნდა გერმანიის ტერიტორიაზე.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად-საქართველოს მე-5 ოლიმპიადა.
სურათზე: „ხორუმს" ასრულებენ სოლისტები აჭარის გუნდისა ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.
ფოტო სტოლიაროვისა და რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი" შეხვდა ყინულმჭრელ „ლიტკეს"

ყინულოვანი ტყვეობისაგან „სედოვის" განთავისუფლების გეგმა

ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" გემბანი, 20 სექტემბერი (საქდესის რადიო სპეცკორი). დღეს, 14 საათსა და 35 წუთზე ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი" შეუერთდა ყინულმჭრელ „ლიტკეს". გემებმა კურსი აიღეს ჩრდილოეთისაკენ.

ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" კაპიტანმა ამხ. ვორონინმა შეიმუშავა ცენტრალური პოლარული აუზის სიღრმეში ლაშქრობის გეგმა. საქდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს მან განაცხადა:

— ყინულის მდგომარეობა ჩვენი გემის გზაზე „სედოვისაკენ" თითქმის უცნობია. ჩემ მიერ საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვისა და „ერმაკის" კაპიტნის ამხ. სოროკინისაგან მიღებული ცნობები ყინულის მდგომარეობის შესახებ შეიძლება მოძველებული იყოს, რადგან შეუძლებელი არ არის, რომ „ერმაკის" ბრწყინვალე ლაშქრობის დროიდან ცვალებადმა ქარმა და მდინარებამ ყინულთა გადაჯგუფება მოახდინა. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ყინული ასეთ მაღალ განედებში მეტად მძიმეა.

განზრახულია არა მარტო მივიდეთ „სედოვთან", არამედ გამოვგლიჯოთ კიდეც იგი ყინულოვან ტყვეობას, რომელშიც წარსული წლის შემოდგომიდან იმყოფება. „სედოვი" დამოუკიდებელ სვლას ვერ შესძლებს, თუნდაც მას გზა გავუკაფოთ ყინულებში. ყინულთა წნევით მისი საჭე მოგრეხილია, ხოლო კორპუსი მიყინულია უზარმაზარ ყინულზე; ჩვენ საჭისაგან უნდა განვთავისუფლდეთ, სხვანაირად ბუქსირება მეტად ძნელი იქნება. ეს რთული ამოცანა ადგილობრივ უნდა გადავწყვიტოთ. ყინულისაგან კორპუსის განთავისუფლებისათვის განზრახულია შლანგების საშუალებით ჩავასხათ გამთბარი წყალი ერთერთ ტრიუმში, რომელსაც ყინული მიეყინა.

მეტად დიდ სირთულეს წარმოადგენს „სედოვის" ბუქსირება. ამას მოახდენს ყინულმჭრელი „ლიტკე", რომელიც კვალდაკვალ გამოჰყვება ჩვენს ყინულმჭრელს.

ი. კაპირინი.

ყინულმჭრელ „ი. სტალინის" რეისი

ყინულმჭრელ „ი. სტალინის" გემბანი, 21 სექტემბერი (**რადიოთ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან**). „ყინულმჭრელ „ი. სტალინისა" და ყინულმჭრელი გემის „ლიტკეს" შეხვედრისას კაპიტანთა მცირე ხნის მოლაპარაკების შემდეგ ორივე გემი დაუყოვნებლივ გაემართა ჩრდილოეთისაკენ თავისი თანამოძმის „სედოვის" გასათავისუფლებლად ყინულთა ტყვეობიდან. „ლიტკესთან" შეერთების მომენტში ვიმყოფებით ჩრდილოეთის განედის 79 გრადუსსა და 21 მინუტზე და აღმოსავლეთის გრძედის 142 გრადუსსა და 14 მინუტზე".

გ. თვალაძე

ყინულმჭრელ „ვიაჩესლავ მოლოტოვის" მშენებელთა წარმატება

ლენინგრადი, 20 სექტემბერი (საქდესი). ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში ამხ. ანდრეევის ბრიგადის საუკეთესო ამწყობთა ინიციატივით ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. იმ გემბანზე, სადაც მეორე ზეძალოვანი ყინულმჭრელი „ვიაჩესლავ მოლოტოვი" შენდება, — ჯერ არნახული საწარმოო აღტყინებაა. ყველა სპეციალობის მუშები ეჯიბრებიან ერთმანეთს პირველობისათვის.

7 ნოემბრისათვის კოლექტივმა იკისრა შეასრულოს დიდი მოცულობის სამუშაო. ცხვირის ბოლოზე (ფორპიკში) ამ დღისათვის დამთავრებულ უნდა იქნას ყველა სამუშაო მთავარი გემბანის ნაწყობისა და ნაფენის დადგმაში. იქვე უნდა აიწყოს და დამაგრდეს საგემბანო ნაწყობი მთავარი გემბანის ზემოდ.

ერთა ლიგის პლენუმზე

ჟენევა, 20 სექტემბერი (საქდესი). ერთა ლიგის პლენუმის მესამე კომისიის (შეიარაღების შემცირებისა და შეიარაღების შეზღუდვის საკითხების შესახებ) სხდომაზე დღეს გრძელდებოდა სამოქალაქო მოსახლეობის საჰაერო ბომბარდირებათა საკითხის განხილვა: ამ საკითხში, როგორც ვიცით, ესპანეთის დელეგატმა ასკარატემ წინადადება შეიტანა ეხელმძღვანელნათ იმ სამხედრო სპეციალისტების კომისიის გამოცდილებით, რომელიც დანიშნული იყო ბრიტანეთის მთავრობის მიერ ასეთ ბომბარდირებათა შემთხვევების გამოსაკვლევად ესპანეთში. ამის ნაცვლად ბრიტანეთის დელეგატმა ეოლესმა წინადადება შეიტანა დაევალოს სპეციალურ ტექნიკურ კომისიას შეიმუშაოს „საჰაერო ომის წესების" კოდექსი, რომლის ძალითაც სამოქალაქო მოსახლეობის საჰაერო ბომბარდირება უკანონოდ იქნებოდა აღიარებული. მას მხარი დაუჭირეს კასენმა (საფრანგეთი) და პატინმა (ჰოლანდია). ველინგტონ კუმ (ჩინეთი) მხარი დაუჭირა ესპანეთის წინადადებას და აგრეთვე მოითხოვა, რათა ყველა სახელმწიფომ შესწყვიტოს იაპონიის მომარაგება სამხედრო თვითმფრინავებითა და საწვავი მასალებით. ნერვომაც (მექსიკა) მხარი დაუჭირა ესპანეთის წინადადებას. შექმნილია ქვეკომისია დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩინეთის, ესპანეთისა და საბერძნეთის წარმომადგენელთაგან პლენუმისათვის შეთანხმებული წინადადების გამოსამუშავებლად.

საბჭოთა აერონავტების სარეკორდო გაფრენა

29 საათი და 45 წუთი ჰაერში

19 სექტემბერს, 0 საათსა და 25 წუთზე, სასტარტო მოედნიდან მოსკოვის ახლოს 547 კუბმეტრი მოცულობის სფერული აეროსტატით თავისუფალ საფრენად გაფრინდნენ აერონავტები — ორდენოსანი მაიორი ამხ. ი. ი. ზიკოვი და მეორე პილოტი მესამე რანგის სამხედრო ინჟინერი ამხ. ა. ვ. ეგოროვი.

20 სექტემბერს, დილით, მოსკოვში მიღებულ იქნა ცნობა, რომ აეროსტატი 20 სექტემბერს დილის 6 საათსა და 10 წუთზე მშვიდობით დაეშვა შეპეტოვკის რაიონში (კამენეც-პოდოლსკის ოლქი).

* * *

საბჭოთა აერონავტების უმაგალითო გაფრენა მცირე მოცულობის საჰაერო ბურთით 29 საათსა და 45 წუთს გაგრძელდა. წინასწარ ცნობათა მიხედვით, ამხ. ზიკოვმა და ეგოროვმა დაამყარეს „ა" კლასის სფერული აეროსტატით ფრენის ხანგრძლივობის სამი რეკორდი.

დღემდე მეორე კატეგორიის აეროსტატით გაფრენის ხანგრძლივობის რეკორდი ეკუთვნოდა ფრანგ აერონავტს ჟიულ დიუბუას. 1922 წლის 14-15 მაისს მან ჰაერში დაჰყო 23 საათსა და 28 წუთს. ამავე დროს საბჭოთა აერონავტებმა მესამე და მეოთხე კატეგორიების აეროსტატებით დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი, მათ გადააჭარბეს (26 საათი და 46 წუთი) ამერიკელი აერონავტების ე. ი. ჰილისა და ა. ლოსერის მაჩვენებლებს, რომელთაც თავისი სარეკორდო გაფრენა მოახდინეს 1927 წლის 4-5 ივლისს.

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 20 სექტემბერი (საქდესი). „ლუმანიტე" აქვეყნებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოწოდებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩეხოსლოვაკიის მთლიანობა განუყოფელია საფრანგეთის უშიშროებისა და ევროპის მშვიდობიანობის დაცვისაგან.

დალადიეს მთავრობა, — ნათქვამია მიმართვაში, — უარჰყოფს რა საფრანგეთის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებს და უარჰყოფს რა თავის საკუთარ ვალდებულებებს, თანხმდება ახალ კაპიტულაციაზე ფაშიზმის წინაშე. მაგრამ ამის შემდეგ ჰიტლერის გერმანიას ხვალ შეუძლია მოითხოვოს საფრანგეთის კოლონიებისა და ელზას-ლოტარინგიას მისთვის გადაცემა, ხოლო ფაშისტურ იტალიას შეუძლია მოითხოვოს ტუნისი, კორსიკა, ნიცა და სავოია.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ დალადიეს ამ პოლიტიკას, რომელსაც იგი პარლამენტთან შეუთანხმებლად ატარებს, საერთო არაფერი აქვს ხალხის სურვილთან, რომელიც გამოხატულია სახალხო ფრონტის პროგრამაში. ფრანგი ხალხი, — აღნიშნულია მიმართვაში, — აღშფოთებით ეწინააღმდეგება ამ პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფოს შიგნით ხასიათდება 40-საათიანი სამუშაო კვირის კანონის დარღვევით, მოხუც მშრომელებისათვის პენსიის დანიშვნის უარისყოფით, სოფლის მეურნეობაში უბედურების საწინააღმდეგოდ ნაციონალური დამზღვევი სალაროს შექმნის უარისყოფით, კაგულარების განთავისუფლებით და ფაშისტ შეთქმულთა ლიგების დანაშაულებრივი შეწყნარებით.

მოწოდებაში ხაზგასმულია საფრანგეთის მშრომელების ღრმა სოლიდარობა ჩეხოსლოვაკიის ხალხისადმი. საფრანგეთის კომუნისტური პარტია, — ნათქვამია მოწოდებაში, — ძმურ სალამს უგზავნის აგრეთვე ინგლისის მშრომელებს, რომლების საფრანგეთთან კავშირსაც შეუძლია აიძულოს ფაშისტი ომის გამჩაღებლები ხელი აიღონ ომზე.

დღეს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სხდომათა დარბაზში (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 2) გაიხსნება

რესპუბლიკური თათბირი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის საკითხებზე

თათბირზე შესაშვები ბარათები გაიცემა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით.

მოკლე კურსი.

მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი.

(გაგრძელება *)

5. თებერვლის რევოლუცია. ცარიზმის დამხობა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა. დროებითი მთავრობის შექმნა. ორხელისუფლებიანობა.

1917 წელი 9 იანვრის გაფიცვით დაიწყო. გაფიცვის დროს გაიმართა დემონსტრაციები პეტროგრადში, მოსკოვში, ბაქოში, ნიჟნინოვგოროდში, ამასთან მოსკოვში 9 იანვარს გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა ყველა მუშის დაახლოებით ერთი მესამედი. ტვერის ბულვარში მოწყობილი ორათასიანი დემონსტრაცია ცხენოსანმა პოლიციამ გარეკა. პეტროგრადში ვიბორგის გზატკეცილზე დემონსტრანტებს შეუერთდნენ ჯარისკაცები.

„საყოველთაო გაფიცვის იდეა,— სწერდა პეტროგრადის პოლიცია,— დღითი-დღე იძენს ახალ მომხრეებს და ხდება პოპულარული, როგორიც იგი 1905 წელს იყო“.

მენშევიკები და ესერები ცდილობდნენ დაწყებული რევოლუციური მოძრაობა მოექციათ ლიბერალური ბურჟუაზიისათვის საჭირო ჩარჩოებში. სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღისათვის, 14 თებერვალს, მენშევიკები მოითხოვდნენ მოეწყოთ მუშათა მსვლელობა სახელმწიფო სათათბიროსაკენ, მაგრამ მუშათა მასები გაჰყვნენ ბოლშევიკებს, არა სათათბიროსაკენ, არამედ დემონსტრაციაზე.

1917 წლის 18 თებერვალს დაიწყო პუტილოვის ქარხნის მუშების გაფიცვა პეტროგრადში. 22 თებერვალს გაფიცული იყო უდიდესი საწარმოების უმრავლესობის მუშები. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეს, 23 თებერვალს (8 მარტს) ბოლშევიკთა პეტროგრადის კომიტეტის მოწოდებით მუშა-ქალები გამოვიდნენ ქუჩაში, რათა გაემართათ დემონსტრაცია შიმშილის, ომის, ცარიზმის წინააღმდეგ. მუშა ქალთა დემონსტრაციას მხარი დაუჭირეს მუშებმა პეტროგრადში საერთო საგაფიცვო გამოსვლით. პოლიტიკურმა გაფიცვამ იწყო გადაზრდა საერთო პოლიტიკურ დემონსტრაციაში მეფის წყობილების წინააღმდეგ.

24 თებერვალს (9 მარტს) დემონსტრაცია კიდევ უფრო მეტი ძალით განახლდა. გაფიცული იყო უკვე დაახლოებით 200 ათასი მუშა.

25 თებერვალს (10 მარტს) რევოლუციური მოძრაობა მთელს მუშურ პეტროგრადს მოედო. რაიონებში პოლიტიკური გაფიცვები იქცევა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვად მთელს პეტროგრადში. ყველგან იმართება დემონსტრაციები და ხდება პოლიციასთან შეტაკება. მუშათა მასებმა ააფრიალეს წითელი დროშები ლოზუნგებით: „ძირს მეფე!“, „ძირს ომი!“, „მოგვეცით პური!“.

26 თებერვალს (11 მარტს) პოლიტიკური გაფიცვა და დემონსტრაცია იწყებენ გადაზრდას აჯანყების ცდაში. მუშები იარაღს ჰყრიან პოლიციასა და ჟანდარმერიას და თვითონ იარაღდებიან. მაგრამ პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკება მთავრდება დემონსტრაციის დახვრეტით ზნამენსკის მოედანზე.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი ხაბალოვი აცხადებს, რომ მუშები მუშაობას უნდა შეუდგნენ 28 თებერვალს (13 მარტს), რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ფრონტზე გაიგზავნებიან. 25 თებერვალს (10 მარტს) მეფე გენერალ ხაბალოვს აძლევს ბრძანებას: „გიბრძანებთ ხვალვე შესწყვიტოთ უწესობანი დედაქალაქში“.

მაგრამ რევოლუციის „შეწყვეტა“ უკვე შეუძლებელი იყო.

26 თებერვალს (11 მარტს) დილისით პავლოვის პოლკის სათადარიგო ათასეულის მე-4 ასეულმა სროლა აუტეხა, მაგრამ არა მუშებს, არამედ ცხენოსანი გოროდოვოების რაზმებს, რომლებიც მუშებს ესროდნენ. გაჩაღდა უაღრესად ენერგიული და შეუპოვარი ბრძოლა ჯარისათვის, განსაკუთრებით მუშა - ქალების მხრივ, რომლებიც უშუალოდ მიმართავდნენ ჯარისკაცებს, უძმობილდებოდნენ მათ, მოუწოდებდნენ მათ დახმარებოდნენ ხალხს მისთვის საძულველი მეფის თვითმპყრობელობის დამხობაში.

ბოლშევიკური პარტიის პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელობას ამ დროს ანხორციელებდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომელიც პეტროგრადში იმყოფებოდა, ამხ. მოლოტოვის მეთაურობით. 26 თებერვალს (11 მარტს) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოუშვა მანიფესტი მოწოდებით ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის განგრძობისაკენ, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ.

27 თებერვალს (12 მარტს) პეტროგრადში ჯარებმა უარი განაცხადეს მუშებისათვის სროლაზე და იწყეს გადასვლა აჯანყებული ხალხის მხარეზე. 27 თებერვალს ჯერ კიდევ დილით იყო მხოლოდ 10 ათასი აჯანყებული ჯარისკაცი, ხოლო საღამოს მათი რიცხვი უკვე 60 ათასს აღემატებოდა.

აჯანყებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა იწყეს მეფის მინისტრებისა და გენერლების დაპატიმრება, რევოლუციონერთა განთავისუფლება საპატიმროებიდან. განთავისუფლებული პოლიტიკური პატიმრები ებმებოდნენ რევოლუციური ბრძოლის საქმეში.

ქუჩებში ჯერ კიდევ სწარმოებდა სროლა გოროდოვოებთან და ჟანდარმებთან, რომლებიც სახლების სახურავებზე გამაგრდნენ ტყვიამფრქვევებით. მაგრამ ჯარების სწრაფად გადასვლამ მუშათა მხარეზე გადასწყვიტა მეფის თვითმპყრობელობის ბედი.

როდესაც პეტროგრადში რევოლუციის გამარჯვების ამბავი სხვა ქალაქებში და ფრონტზე გავრცელდა, მუშებმა და ჯარისკაცებმა ყველგან იწყეს მეფის მოხელეების დამხობა.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

რევოლუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მუშათა კლასი იყო რევოლუციის წამომწყები და სათავეში ედგა ჯარისკაცების ფარაჯებში გადაცმულ გლეხთა მილიონიანი მასების მოძრაობას—„ზავისათვის, პურისათვის, თავისუფლებისათვის“. პროლეტარიატის ჰეგემონიამ განაპირობა რევოლუციის წარმატება.

„რევოლუცია მოახდინა პროლეტარიატმა, მან გამოიჩინა გმირობა, იგი სისხლს ღვრიდა, მან თან გაიყოლია მშრომელი და ულარიბესი მოსახლეობის უფართოესი მასები...“,—სწერდა ლენინი რევოლუციის პირველ დღეებში **(ლენინი, ტ. XX, გვ. 23-24).**

1905 წლის პირველმა რევოლუციამ მოამზადა 1917 წლის მეორე რევოლუციის სწრაფი გამარჯვება.

„რუსეთის პროლეტარიატის სამი წლის—1905-1907 წლების — უდიდესი კლასობრივი ბრძოლებისა და რევოლუციური ენერგიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მეორე რევოლუციის მოხდენა ესოდენ სწრაფად, მისი **დაწყებითი** ეტაპის დამთავრების თვალსაზრისით, რამდენიმე დღეში“,— აღნიშნავდა ლენინი **(ლენინი, ტ. XX, გვ. 13)**

რევოლუციის პირველსავე დღეებში გაჩნდნენ საბჭოები. გამარჯვებული რევოლუცია ემყარებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს. აჯანყებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა შექმნეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. 1905 წლის რევოლუციამ დაგვანახვა, რომ საბჭოები წარმოადგენენ შეიარაღებული აჯანყების ორგანოებს და ამავე დროს ახალი, რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს. საბჭოების იდეა სცოცხლობდა მუშათა მასების შეგნებაში და მათ განახორციელეს იგი ცარიზმის დამხობის მეორე დღესვე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ 1905 წელს შექმნილი იყო მხოლოდ **მუშათა** დეპუტატების საბჭოები, ხოლო 1917 წლის თებერვალში ბოლშევიკთა ინიციატივით გაჩნდნენ **მუშათა და ჯარისკაცთა** დეპუტატების საბჭოები.

იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობას უწევდნენ მასების უშუალო ბრძოლას ქუჩებში, შეთანხმებლური პარტიები, მენშევიკები და ესერები, დეპუტატების ადგილებს იტაცებდნენ საბჭოებში და ქმნიდნენ იქ თავის უმრავლესობას. ამას ნაწილობრივ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ბოლშევიკური პარტიის ლიდერების უმრავლესობა საპატიმროებსა და გადასახლებაში იმყოფებოდა (ლენინი იმყოფებოდა ემიგრაციაში, სტალინი და სვერდლოვი—ციმბირის გადასახლებაში) იმ დროს, როდესაც მენშევიკები და ესერები თავისუფლად სეირნობდნენ პეტროგრადის ქუჩებში. ამგვარად, პეტროგრადის საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის სათავეში აღმოჩნდნენ შეთანხმებლური პარტიების წარმომადგენლები: მენშევიკები და ესერები. ასევე მოხდა მოსკოვშიც და და მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც. მხოლოდ ივანოვო - ვოზნესენსკში, კრასნოიარსკში და ზოგიერთ სხვა ქალაქში საბჭოებში უმრავლესობა თავიდანვე ეკუთვნოდათ ბოლშევიკებს.

შეიარაღებული ხალხი—მუშები და ჯარისკაცები, გზავნიდნენ რა თავის წარმომადგენლებს საბჭოში, უყურებდნენ მას, როგორც ხალხის ხელისუფლების ორგანოს. ისინი ფიქრობდნენ და მათ სჯეროდათ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო განახორციელებდა რევოლუციური ხალხის ყველა მოთხოვნას და რომ პირველ რიგში დადებული იქნებოდა ზავი.

მაგრამ მუშათა და ჯარისკაცთა ზედმეტმა გულდანდობამ ცუდი საქმე დამართა მათ. ესერები და მენშევიკები არც კი ფიქრობდნენ ომის ლიკვიდაციაზე, ზავის მოპოვებაზე. ისინი ფიქრობდნენ გამოეყენებინათ რევოლუცია იმისათვის, რომ განეგრძოთ ომი. რაც შეეხება რევოლუციას და ხალხის რევოლუციურ მოთხოვნებს, ესერები და მენშევიკები სთვლიდნენ, რომ რევოლუცია უკვე დამთავრდა, და ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განამტკიცონ იგი და გადავიდნენ ბურჟუაზიასთან ერთად „ნორმალური“, კონსტიტუციური არსებობის რელსებზე. ამიტომ პეტროგრადის საბჭოს ესერულ-მენშევიკურმა ხელმძღვანელობამ მიიღო ყოველგვარი ღონისძიება, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა მიეჩქმალა ომის ლიკვიდაციის საკითხი, ზავის საკითხი და გადაეცა ხელისუფლება ბურჟუაზიისათვის.

1917 წლის 27 თებერვალს (12 მარტს) სახელმწიფო სათათბიროს ლიბერალურმა დეპუტატებმა ესერ-მენშევიკთა ლიდერებთან კულისებს მიღმა მიღწეული შეთანხმებით შექმნეს სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი IV სათათბიროს თავმჯდომარის, მემამულისა და მონარქისტის როძიანკოს მეთაურობით. ხოლო კომიტეტის შექმნიდან რამდენიმე დღის შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ესერ-მენშევიკი ლიდერები ბოლშევიკებისაგან ფარულად შეთანხმდნენ შეექმნათ რუსეთის ახალი მთავრობა, — ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა თავად ლვოვის მეთაურობით, რომლის დანიშვნა ჯერ კიდევ თებერვლის გადატრიალებამდე უნდოდა მეფე ნიკოლოზ II თავისი მთავრობის პრემიერ-მინისტრად. დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ კადეტების მეთაური მილიუკოვი, ოქტიაბრისტების მეთაური გუჩკოვი და კაპიტალისტთა კლასის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები, ხოლო „დემოკრატიის“ წარმომადგენლად შეყვანილ იქნა ესერი კერენსკი.

გამოვიდა ისე, რომ საბჭოს აღმასკომის ესერ-მენშევიკთა ლიდერებმა ხელისუფლება ბურჟუაზიას გადასცეს, ხოლო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც ეს ამბავი შემდეგ გაიგო, თავისი უმრავლესობით მოიწონა ესერ-მენშევიკთა ლიდერების მოქმედება, ბოლშევიკთა პროტესტის მიუხედავად.

ასე შეიქმნა რუსეთის ახალი სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც, როგორც ლენინი ამბობდა, „ბურჟუაზიისა და გაბურჟუებულ მემამულეთა“ წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა.

მაგრამ ბურჟუაზიული მთავრობის გვერდით არსებობდა მეორე ხელისუფლება—მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ჯარისკაცთა დეპუტატები საბჭოში უმთავრესად იყვნენ ომში მობილიზებული გლეხები. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო წარმოადგენდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა კავშირის ორგანოს და ამასთან ერთად —მათი ხელისუფლების ორგანოს, მუშათა კლასის და გლეხობის დიქტატურის ორგანოს.

ამგვარად, გამოვიდა ორი ხელისუფლების, ორი დიქტატურის ერთგვარი გადახლართვა: ბურჟუაზიის დიქტატურისა, დროებითი მთავრობის სახით და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახით.

მივიღეთ **ორხელისუფლებიანობა.**

რითი უნდა ავხსნათ, რომ საბჭოებში თავდაპირველად აღმოჩნდა მენშევიკებისა და ესერების უმრავლესობა?

რითი უნდა ავხსნათ, რომ გამარჯვებულმა მუშებმა და გლეხებმა **ნებაყოფლობით** გადასცეს ხელისუფლება ბურჟუაზიის წარმომადგენლებს?

ლენინი ამას იმით ხსნიდა, რომ გამოიღვიძეს და პოლიტიკას დაეწაფნენ პოლიტიკაში გამოუცდელ ადამიანთა მილიონები. ესენი მეტწილად იყვნენ წვრილი მეპატრონეები, გლეხები, გლეხთა წრიდან ახლახან გამოსული მუშები, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შუა მდგომი ადამიანები. რუსეთი მაშინ ყველაზე წვრილბურჟუაზიული ქვეყანა იყო ევროპის ყველა დიდ ქვეყანას შორის და ამ ქვეყანაში „გიგანტურმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, დათრგუნა შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი რიცხვით, არამედ იდეურადაც, ესე იგი მუშათა ძალიან ფართო წრეებს გადასდო წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე და მოიცვა ისინი ამ შეხედულებებით“ **(ლენინი, ტ. XX, გვ. 115).**

სწორედ წვრილბურჟუაზიული სტიქიის ამ ტალღამ წამოატივტივა ზედაპირზე მენშევიკებისა და ესერების წვრილბურჟუაზიული პარტიები.

ლენინი აღნიშნავდა, რომ მეორე მიზეზს წარმოადგენს პროლეტარიატის შემადგენლობის შეცვლა ომის დროს და პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობა და ორგანიზებულობა რევოლუციის დასაწყისში. ომის დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თვით პროლეტარიატის შემადგენლობაში. კადრის მუშათა დაახლოებით 40 პროცენტი მობილიზებული იყო არმიაში. ომის წლებში, მობილიზაციისაგან თავის არიდების მიზნით, საწარმოებში მოხვდა ბევრი წვრილი მესაკუთრე, შინამრეწველი, მედუქნე, რომელთათვისაც პროლეტარული ფსიქოლოგია უცხო იყო.

სწორედ მუშათა ეს წვრილბურჟუაზიული ფენები წარმოადგენდნენ მასაზრდოებელ ნიადაგს წვრილბურჟუაზიული პოლიტიკოსებისათვის — მენშევიკებისა და ესერებისათვის.

აი ამიტომ იყო, რომ პოლიტიკაში გამოუცდელი ხალხის ფართო მასები, რომლებიც წვრილბურჟუაზიულ სტიქიის ტალღამ წალეკა და რევოლუციის პირველმა წარმატებებმა დაათრო, რევოლუციის პირველ თვეებში აღმოჩნდნენ შეთანხმებლური პარტიების ტყვეობაში და დასთანხმდნენ დაეთმოთ ბურჟუაზიისათვის სახელმწიფო ხელისუფლება, გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ რა, რომ ბურჟუაზიული ხელისუფლება ხელს არ შეუშლის საბჭოებს აწარმოონ თავისი მუშაობა.

ბოლშევიკური პარტიის წინაშე იდგა ამოცანა — მასებში მოთმინებითი ახსნა-განმარტებითი მუშაობით გამოეაშკარავებინა დროებითი მთავრობის იმპერიალისტური ხასიათი, გამოემჟღავნებინა ესერებისა და მენშევიკების გამცემლობა და დაენახვებინა, რომ ზავის მიღწევა შეუძლებელია ისე, თუ დროებითი მთავრობა არ შეიცვალა საბჭოების მთავრობით.

და ბოლშევიკთა პარტიამ მთელი ენერგიით მოჰკიდა ხელი ამ მუშაობას.

იგი შეუდგა პრესის თავისი ლეგალური ორგანოების აღდგენას. თებერვლის რევოლუციიდან უკვე ხუთი დღის შემდეგ გამოსვლას იწყებს გაზეთი „პრავდა“ პეტროგრადში, ხოლო „პრავდის“ გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ— „სოციალ-დემოკრატი“ მოსკოვში. პარტია იწყებს გამოსვლას მასების სათავეში, რომლებიც თავისუფლდებიან ლიბერალური ბურჟუაზიისადმი ნდობისაგან, მენშევიკებისა და ესერებისადმი ნდობისაგან. იგი მოთმინებით განუმარტავს ჯარისკაცებს, გლეხებს მუშათა კლასთან საერთო მოქმედების აუცილებლობას. იგი მათ განუმარტავს, რომ გლეხები ვერ მიიღებენ ვერც ზავს, ვერც მიწას რევოლუციის შემდგომი განვითარების გარეშე, იმის გარეშე, თუ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა არ შეიცვალა საბჭოების მთავრობით.

მოკლე დასკვნები

იმპერიალისტური ომი წარმოიშვა კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის გამო, მთავარ სახელმწიფოებს შორის წონასწორობის დარღვევის გამო, იმის გამო, რომ იმპერიალისტებისათვის საჭირო იყო მოეხდინათ მსოფლიოს ახალი განაწილება ომის გზით და შეექმნათ ძალთა ახალი წონასწორობა.

ომს არ ექნებოდა ასეთი დამანგრეველი ხასიათი და შეიძლება სრულიადაც არ გაჩაღებულიყო ასეთი ძალით, II ინტერნაციონალის პარტიებს რომ არ ეღალატნათ მუშათა კლასის საქმისათვის, მათ რომ არ დაერღვიათ II ინტერნაციონალის კონგრესების გადაწყვეტილებანი ომის წინააღმდეგ, მათ რომ გაებედნათ აქტიურად გამოსვლა და მუშათა კლასის ამოძრავება თავისი იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პარტია აღმოჩნდა ერთადერთი პროლეტარული პარტია, რომელიც დარჩა სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის საქმის ერთგული და მოაწყო სამოქალაქო ომი თავისი იმპერიალისტური მთავრობის წინააღმდეგ. II ინტერნაციონალის ყველა დანარჩენი პარტიები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბურჟუაზიასთან თავისი ხელმძღვანელი ზედაფენების მეშვეობით, აღმოჩნდნენ იმპერიალიზმის ტყვეობაში, გადავიდნენ იმპერიალისტთა მხარეზე.

როგორც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამოხატულებამ, ომმა გაამწვავა ეს კრიზისი და დაასუსტა მსოფლიო კაპიტალიზმი. რუსეთის მუშები და ბოლშევიკთა პარტია პირველნი აღმოჩნდნენ მსოფლიოში, რომლებმაც წარმატებით გამოიყენეს კაპიტალიზმის სისუსტე, გაარღვიეს იმპერიალიზმის ფრონტი, დაამხეს მეფე და შექმნეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

რევოლუციის პირველი წარმატებებით დამთვრალნი და მენშევიკთა და ესერთა განცხადებებით დამშვიდებულნი, რომ ამიერიდან ყველაფერი კარგად წავაო, წვრილი ბურჟუაზიის, ჯარისკაცთა, აგრეთვე მუშათა ფართო მასები იმსჭვალებიან დროებითი მთავრობისადმი ნდობით, მხარს უჭერენ მას.

ბოლშევიკური პარტიის წინაშე წამოიჭრა ამოცანა — განუმარტოს პირველი წარმატებებით დამთვრალ მუშათა და ჯარისკაცთა მასებს, რომ რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს არის, რომ მანამ, ვიდრე ძალა-უფლება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხელშია, ხოლო საბჭოებში შეთანხმებლები — მენშევიკები და ესერები ბატონობენ, ხალხი ვერ მიიღებს ვერც ზავს, ვერც მიწას, ვერც პურს, რომ სრული გამარჯვებისათვის საჭიროა გადაიდგას კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და გადაეცეს ხელისუფლება საბჭოებს.

---

*) თავი VI. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 217.

თავი VII

ბოლშევიკების პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში

(1917 წ. აპრილი—1918 წ.)

1. ვითარება ქვეყანაში თებერვლის რევოლუციის შემდეგ. პარტიის გამოსვლა იატაკქვეშეთიდან და აშკარა პოლიტიკურ მუშაობაზე გადასვლა. ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში. ლენინის აპრილის თეზისები. პარტიის გეზი სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა.

მოვლენები და დროებითი მთავრობის მოქმედება დღითი-დღე ადასტურებდნენ ბოლშევიკების ხაზის სისწორეს. ისინი სულ უფროდაუფრო ნათლად გვიჩვენებდნენ, რომ დროებითი მთავრობა ხალხის მომხრე კი არ არის, არამედ ხალხის წინააღმდეგია, მშვიდობიანობის მომხრე კი არ არის, არამედ ომის მომხრეა, რომ მას არ სურს და არც შეუძლია მოგვცეს არც ზავი, არც მიწა, არც პური. ბოლშევიკების ახსნა-განმარტებითი მუშაობა ხელსაყრელ ნიადაგს ჰპოულობდა.

მაშინ როცა მუშები და ჯარისკაცები ამხობდნენ მეფის მთავრობას და სპობდნენ მონარქიის ფესვებს, დროებითი მთავრობა გარკვეულად იჩენდა მონარქიის შენარჩუნების მიდრეკილებას. მან 1917 წლის 2 მარტს ფარულად გაგზავნა მეფესთან გუჩკოვი და შულგინი. ბურჟუაზიას სურდა გადაეცა ძალაუფლება ნიკოლოზ რომანოვის ძმისათვის — მიხეილისათვის. მაგრამ როცა რკინიგზელთა მიტინგზე გუჩკოვმა თავისი სიტყვა დაამთავრა შეძახილით „გაუმარჯოს იმპერატორ მიხეილს“, მუშებმა მოითხოვეს გუჩკოვის დაუყოვნებლივ დაპატიმრება და გაჩხრეკა, ისინი აღშფოთებით ამბობდნენ: „პირშუშხა ბოლოკზე ტკბილი არ არისო“.

ცხადი იყო, რომ მუშები არავის მისცემდნენ ნებას აღედგინა მონარქია.

მაშინ როცა მუშები და გლეხები ანხორციელებდნენ რევოლუციას, სისხლს ღვრიდნენ და ელოდნენ ომის შეწყვეტას, ცდილობდნენ პურისა და მიწის მიღებას, მოითხოვდნენ გადამწყვეტ ღონისძიებებს ნგრევასთან ბრძოლაში, — დროებითი მთავრობა ყრუ რჩებოდა ხალხის ამ სასიცოცხლო მოთხოვნებისადმი. ამ მთავრობას, რომელიც კაპიტალისტთა და მემამულეთა უთვალსაჩინოესი წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა, აზრადაც არ მოსდიოდა დაეკმაყოფილებინა გლეხთა მოთხოვნები მათთვის მიწის გადაცემის შესახებ. მას არ შეეძლო აგრეთვე მიეცა პური მშრომელებისათვის, რადგან საამისოდ აუცილებელი იყო პურის მსხვილ მოვაჭრეთა ინტერესების შელახვა, საჭირო იყო ყველა ღონისძიებით პურის ჩამორთმევა მემამულეებისაგან, კულაკებისაგან, რასაც ვერ ბედავდა მთავრობა, რადგან ის თვითონ დაკავშირებული იყო ამ კლასების ინტერესებთან. მას არ შეეძლო აგრეთვე მოეცა ზავი. დროებითი მთავრობა, დაკავშირებული ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან, არათუ არ ფიქრობდა ომის შეწყვეტას, არამედ, პირიქით, ცდილობდა გამოეყენებინა რევოლუცია იმისათვის, რომ რუსეთს უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღო იმპერიალისტურ ომში, იმისათვის, რომ განეხორციელებინა თავისი იმპერიალისტური ზრახვები კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ხელში ჩაგდების შესახებ, გალიციის ხელში ჩაგდების შესახებ.

ცხადი იყო, რომ დროებითი მთავრობის პოლიტიკისადმი ხალხის მასების ნდობას მალე ბოლო უნდა მოღებოდა.

აშკარა ხდებოდა, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ორხელისუფლებიანობა უკვე დიდხანს ვერ იარსებებდა, ვინაიდან მოვლენათა მსვლელობა მოითხოვდა, რათა ძალაუფლება თავმოყრილი ყოფილიყო სადმე ერთ ადგილას: ან დროებითი მთავრობის კედლებში, ან საბჭოების ხელში.

მართალია, მენშევიკებისა და ესერების შეთანხმებლურ პოლიტიკას ჯერ კიდევ მხარს უჭერდნენ ხალხის მასებში. ჯერ კიდევ ცოტანი როდი იყვნენ ისეთი მუშები, უფრო მეტად ჯარისკაცები და გლეხები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ „მალე მოვა დამფუძნებელი კრება და ყველაფერს კარგად მოაწყობსო“, რომლებიც ჰფიქრობდნენ, რომ ომი სწარმოებს არა სხვისი მიწა-წყლის დასაპყრობად, არამედ აუცილებლობით, —სახელმწიფოს დასაცავად. ასეთ ადამიანებს ლენინი კეთილსინდისიერად შეცდომაში ჩავარდნილ ობორონცებს უწოდებდა. ყველა იმ ადამიანთა შორის ესერულ-მენშევიკური პოლიტიკა დაპირებისა და დარწმუნებისა ჯერ კიდევ სწორ პოლიტიკად ითვლებოდა. მაგრამ ცხადი იყო, რომ დაპირებასა და დარწმუნებას დიდხანს არ ექნებოდა გასავალი, ვინაიდან მოვლენათა მსვლელობა და დროებითი მთავრობის მოქმედება დღითი-დღე აშკარავებდნენ და ცხადჰყოფდნენ, რომ ესერებისა და მენშევიკების შეთანხმებლური პოლიტიკა არის გაჭიანურებისა და მიმნდობელ ადამიანთა მოტყუების პოლიტიკა.

დროებითი მთავრობა ყოველთვის როდი სჯერდებოდა მასების რევოლუციურ მოძრაობასთან ფარული ბრძოლის პოლიტიკას, რევოლუციის წინააღმდეგ ფარული კომბინაციების პოლიტიკას. ეს მთავრობა ზოგჯერ ცდილობდა გადასულიყო აშკარა შეტევაზე დემოკრატიულ თავისუფლებათა წინააღმდეგ, ცდილობდა „აღედგინა დისციპლინა“, განსაკუთრებით ჯარისკაცთა შორის, ცდილობდა „დაემყარებინა წესრიგი“, ესე იგი მოექცია რევოლუცია ბურჟუაზიისათვის საჭირო ჩარჩოებში. მაგრამ როგორადაც არ ცდილობდა იგი ამ მიმართულებით, ამას იგი ვერ ახერხებდა, და ხალხის მასები თავგამოდებით ანხორციელებდნენ დემოკრატიულ თავისუფლებებს—სიტყვის, პრესის, კავშირების, კრებების, დემონსტრაციების თავისუფლებას. მუშები და ჯარისკაცები ცდილობდნენ სავსებით გამოეყენებინათ მათ მიერ პირველად მოპოვებული დემოკრატიული უფლებები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, რათა გაეგოთ და მოესაზრათ შექმნილი მდგომარეობა და მიეღოთ გადაწყვეტილება—როგორ ემოქმედნათ შემდეგში.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციები, რომლებიც ცარიზმის უაღრესად მძიმე პირობებში არალეგალურად მუშაობდნენ, გამოვიდნენ იატაკქვეშეთიდან და იწყეს აშკარა პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაშლა. ბოლშევიკების ორგანიზაციათა წევრების რიცხვი იმ დროს 40—45 ათას კაცს არ აღემატებოდა. მაგრამ ესენი იყვნენ ბრძოლაში გამოწრთობილი კადრები. პარტიის კომიტეტები გარდაქმნილ იქნენ დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლებზე. შემოღებულ იქნა თავიდან ბოლომდე ყველა პარტიული ორგანოს არჩევითობა.

ლეგალურ მდგომარეობაზე პარტიის გადასვლამ გამოააშკარავა უთანხმოებანი პარტიაში. კამენევი და მოსკოვის ორგანიზაციის ზოგიერთი მუშაკი, მაგალითად, რიკოვი, ბუბნოვი, ნოგინი, იდგნენ დროებითი მთავრობისათვის პირობითი მხარდაჭერისა და ობორონცების პოლიტიკის ნახევრადმენშევიკურ პოზიციაზე. სტალინი, რომელიც გადასახლებიდან ის-ის იყო დაბრუნდა, მოლოტოვი და სხვები, პარტიის უმრავლესობასთან ერთად, იცავდნენ დროებითი მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პოლიტიკას, ილაშქრებდნენ ობორონცების წინააღმდეგ და მოუწოდებდნენ აქტიური ბრძოლისაკენ მშვიდობიანობისათვის, ბრძოლისაკენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. პარტიის მუშაკთა ნაწილი მერყეობდა, გამოხატავდა რა თავის პოლიტიკურ ჩამორჩენილობას, რაც საპყრობილეში ან გადასახლებაში ხანგრძლივად ყოფნის შედეგი იყო.

იგრძნობოდა პარტიის ბელადის—ლენინის არყოფნა.

1917 წლის 3 (16) აპრილს, ხანგრძლივი განდევნის შემდეგ, რუსეთში დაბრუნდა ლენინი.

ლენინის ჩამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისათვის, რევოლუციისათვის.

ჯერ კიდევ შვეიცარიიდან, როგორც კი მიიღო პირველი ცნობები რევოლუციის შესახებ, ლენინი პარტიასა და რუსეთის მუშათა კლასს „წერილებში შორიდან“ სწერდა:

„მუშებო! თქვენ გამოიჩინეთ პროლეტარული სახალხო გმირობის სასწაულები სამოქალაქო ომში ცარიზმის წინააღმდეგ. თქვენ უნდა გამოიჩინოთ პროლეტარული და საერთო-სახალხო ორგანიზაციის სასწაულები, რათა მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპზე“ **(ლენინი, ტ. XX, გვ. 19).**

ლენინი პეტროგრადში ჩამოვიდა 3 აპრილს ღამით. ფინეთის ვაგზალზე და ვაგზლის მოედანზე ლენინის შესახვედრად თავი მოიყარეს ათასობით მუშებმა, ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა. აუწერელმა აღტაცებამ მოიცვა მასები, როცა ლენინი ვაგონიდან ჩამოვიდა. მათ ხელზე აიტაცეს ლენინი და ასე შემოიყვანეს თავის ბელადი ვაგზლის დიდ დარბაზში, სადაც მენშევიკებმა ჩხეიძემ და სკობელევმა პეტროგრადის საბჭოს სახელით ის-ის იყო დაიწყეს „მისასალმებელი“ სიტყვების წარმოთქმა, რომლებშიც ისინი „გამოსთქვამდნენ იმედს“, რომ ლენინი მათთან „საერთო ენას“ იპოვიდა. მაგრამ ლენინმა მათ არ მოუსმინა, ჩაუარა და გაემართა მუშათა და ჯარისკაცთა მასებისაკენ და ჯავშნიანი ავტომობილიდან წარმოსთქვა თავისი განთქმული სიტყვა, რომელშიაც მოუწოდებდა მასებს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ. „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“ — ასე დაამთავრა ლენინმა თავისი პირველი სიტყვა, წარმოთქმული განდევნის მრავალი წლის შემდეგ.

რუსეთში ჩამოსვლისთანავე ლენინი მთელი ენერგიით მიეცა რევოლუციურ მუშაობას. ჩამოსვლის მეორე დღეს ლენინი ბოლშევიკების კრებაზე გამოვიდა მოხსენებით ომისა და რევოლუციის შესახებ, შემდეგ კი თავის მოხსენების თეზისები განიმეორა კრებაზე, სადაც გარდა ბოლშევიკებისა იყვნენ მენშევიკებიც.

ეს იყო ლენინის განთქმული აპრილის თეზისები, რომლებმაც პარტიასა და პროლეტარიატს მისცეს ნათელი რევოლუციური ხაზი ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურზე გადასვლისა.

ლენინის თეზისებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ რევოლუციისათვის, პარტიის შემდგომი მუშაობისათვის. რევოლუცია ნიშნავდა უდიდეს გარდატეხას ქვეყნის ცხოვრებაში, და პარტია ბრძოლის ახალ პირობებში, ცარიზმის დამხობის შემდეგ, საჭიროებდა ახალ ორიენტირებას, რათა გაბედულად და მტკიცედ წასულიყო ახალი გზით. ლენინის თეზისები პარტიას ამ ორიენტირებას აძლევდნენ.

ლენინის აპრილის თეზისები იძლეოდნენ გენერალურ გეგმას პარტიის ბრძოლისას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის, რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე, სოციალისტური რევოლუციის ეტაპზე გადასვლისათვის. პარტია მთელი თავისი წინანდელი ისტორიით მომზადებული იყო ამ დიდი ამოცანისათვის. ჯერ კიდევ 1905 წელს ლენინი თავის ბროშურაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ ამბობდა, რომ ცარიზმის დამხობის შემდეგ პროლეტარიატი გადავა სოციალისტური რევოლუციის განხორციელებაზე. თეზისებში ახალი ის იყო, რომ ისინი იძლეოდნენ სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის დაწყების თეორიულად დასაბუთებულ, კონკრეტულ გეგმას.

ეკონომიურ დარგში გადასვლის ღონისძიებებს წარმოადგენდნენ: ქვეყანაში არსებული ყველა მიწის ნაციონალიზაცია და მემამულეთა მიწების კონფისკაცია, ყველა ბანკის შეერთება ერთ ნაციონალურ ბანკად და მასზე მუშათა დეპუტატების კონტროლის შემოღება, პროდუქტთა საზოგადოებრივი წარმოების და განაწილების კონტროლის შემოღება.

პოლიტიკურ დარგში ლენინი წინადადებას იძლეოდა გადავსულიყავით პარლამენტური რესპუბლიკიდან საბჭოების რესპუბლიკაზე. ეს იყო სერიოზული ნაბიჯი წინ მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის დარგში. მანამდე მარქსისტ თეორეტიკოსებს პარლამენტური რესპუბლიკა მიაჩნდათ სოციალიზმზე გადასვლის საუკეთესო პოლიტიკურ ფორმად. ახლა ლენინი წინადადებას იძლეოდა შეგვეცვალა პარლამენტური რესპუბლიკა საბჭოების რესპუბლიკად, რომელიც არის საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში.

„რუსეთის ახლანდელი მომენტის თავისებურება, — ნათქვამი იყო თეზისებში, — მდგომარეობს **გადასვლაში** რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გამო,—მის **მეორე** ეტაპზე, რომელმაც ძალაუფლება ხელთ უნდა მისცეს პროლეტარიატსა და გლეხობის ულარიბეს ფენებს“ **(ლენინი, ტ. XX, გვ. 88).**

და შემდეგ:

„არა პარლამენტური რესპუბლიკა, — მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან მისკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების რესპუბლიკა მთელს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე“ (იქვე, გვ. 88).

ომი, — ამბობდა ლენინი, — ახალი, დროებითი მთავრობის დროსაც ყაჩაღურ, იმპერიალისტურ ომად რჩება. პარტიის ამოცანა ის არის, რომ განუმარტოს ეს მასებს და აჩვენოს მათ, რომ ომის დამთავრება არა ძალმომრეობითი, არამედ ნამდვილად დემოკრატიული ზავით შეუძლებელია ბურჟუაზიის დაუმხობლად.

დროებითი მთავრობის მიმართ ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი: „არავითარი მხარდაჭერა დროებით მთავრობას!“

შემდეგ, ლენინი თეზისებში მიგვითითებდა, რომ ჩვენი პარტია საბჭოებში ჯერჯერობით უმცირესობას შეადგენს, რომ იქ ბატონობს მენშევიკებისა და ესერების ბლოკი, რო-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება

მელიც ატარებს ბურჟუაზიის გავლენას პროლეტარიატზე. ამიტომ პარტიის ამოცანას შეადგენდა:

„განემარტა მასებისათვის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო არის რევოლუციური მთავრობის **ერთადერთი შესაძლო** ფორმა და რომ ამიტომ ჩვენი ამოცანა, ვიდრე ეს მთავრობა ბურჟუაზიის გავლენას ემორჩილება, შეიძლება იყოს მხოლოდ მოთმინებითი, სისტემატური, დაჟინებითი, მასების განსაკუთრებით პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან შეგუებული, **განმარტება** მათი ტაქტიკის შეცდომებისა. სანამ ჩვენ უმცირესობას შევადგენთ, ჩვენ ვეწევით შეცდომათა კრიტიკისა და გამორკვევის მუშაობას და ამავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლის აუცილებლობას...“ (ლენინი, ტ. XX, გვ. 88).

ეს იმას ნიშნავდა, რომ ლენინი არ მოგვიწოდებდა აჯანყებისაკენ დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მოცემულ მომენტში საბჭოების ნდობით სარგებლობდა, არ მოითხოვდა მის დამხობას, არამედ ცდილობდა, რათა ახსნა-განმარტებითი და მოზიდვითი მუშაობის გზით მოეპოვებინა უმრავლესობა საბჭოებში, შეეცვალა საბჭოების პოლიტიკა, ხოლო საბჭოების საშუალებით — შეეცვალა მთავრობის შემადგენლობა და პოლიტიკა ეს იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გეზი.

შემდეგ, ლენინი მოითხოვდა გადაგვეგდო „ჭუჭყიანი თეთრეული“ — უარი გვეთქვა იმაზე, რომ პარტიას სოციალ-დემოკრატიული სახელწოდება ჰქონოდა. თავის თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებდნენ II ინტერნაციონალის პარტიებიც და რუსი მენშევიკებიც. ეს სახელწოდება გაჭუჭყიანებული, შერცხვენილი იყო ოპორტუნისტების, სოციალიზმის მოღალატეების მიერ. ლენინმა წინადადება წამოაყენა — ბოლშევიკური პარტიისათვის გვეწოდებინა **კომუნისტური პარტია**, როგორც უწოდებდნენ თავის პარტიას მარქსი და ენგელსი. ასეთი სახელწოდება მეცნიერულად სწორია, იმიტომ, რომ ბოლშევიკური პარტიის საბოლოო მიზანს კომუნიზმის მიღწევა წარმოადგენს. კაპიტალიზმიდან კაცობრიობას შეუძლია უშუალოდ გადასვლა მხოლოდ სოციალიზმზე, ესე იგი საწარმოო საშუალებათა საერთო მფლობელობაზე და თვითეულის მუშაობის მიხედვით პროდუქტთა განაწილებაზე. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენი პარტია უფრო შორს იხედება. სოციალიზმი თანდათან გარდუვალად უნდა გადაიზარდოს კომუნიზმში, რომლის დროშას აწერია: „თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით“.

დასასრულ, ლენინი თავის თეზისებში მოითხოვდა ახალი ინტერნაციონალის შექმნას, ოპორტუნიზმისაგან, სოციალ-შოვინიზმისაგან თავისუფალი, III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნას.

ლენინის თეზისებმა გაშმაგებული ღმუილი გამოიწვიეს ბურჟუაზიაში, მენშევიკებში, ესერებში.

მენშევიკებმა მუშებს მიჰმართეს მოწოდებით, რომელიც იწყებოდა გაფრთხილებით, რომ „რევოლუცია საფრთხეშია“. საფრთხე, მენშევიკების აზრით, ის იყო, რომ ბოლშევიკებმა წამოაყენეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხელში ძალაუფლების გადასვლის მოთხოვნა.

პლეხანოვმა თავის გაზეთ „ედინსტვოში“ მოათავსა სტატია, რომელშიც ლენინის სიტყვას „ბოდვითი სიტყვა“ უწოდა. პლეხანოვი იმოწმებდა მენშევიკ ჩხეიძეს სიტყვებს, რომელმაც განაცხადა: „რევოლუციის გარეშე მარტო ლენინი დარჩება, ჩვენ კი ჩვენი გზით წავალთ“.

14 აპრილს შესდგა ბოლშევიკების პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენცია, მან მოიწონა ლენინის თეზისები და საფუძვლად დაუდო თავის მუშაობას.

ცოტა ხნის შემდეგ ლენინის თეზისები პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმაც მოიწონეს.

მთელმა პარტიამ, კამენევის, რიკოვის, პიატაკოვის ტიპის რამდენიმე ერთეულის გამოკლებით, ლენინის თეზისები უდიდესი კმაყოფილებით მიიღო.

ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით.

პარტია მოითხოვს ფართო საოლქო ავტონომიას, ზემოდან ზედამხედველობის გაუქმებას, სავალდებულო სახელმწიფო ენის გაუქმებას და თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვრების დაწესებას თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის და სხვ. გათვალისწინების საფუძველზე.

პროლეტარიატის პარტია გადაჭრით უარჰყოფს ეგრეთწოდებულ „კულტურულ - ნაციონალურ ავტონომიას“, ე. ი. სასკოლო საქმის და სხვა ამგვარი საქმეების ჩამოცილებას სახელმწიფოს გამგებლობიდან და მის გადაცემას ერთგვარი ნაციონალური სეიმების ხელში. ერთ ადგილას მცხოვრებ მუშებს და ერთსადაიმავე საწარმოებში მომუშავე მუშებსაც კი კულტურულ - ნაციონალური ავტონომია ხელოვნურად მიჯნავს ამა თუ იმ „ნაციონალური კულტურისადმი“ კუთვნილების მიხედვით, ე. ი. აძლიერებს მუშათა კავშირს ცალკეული ერების ბურჟუაზიულ კულტურასთან და ეს იმ დროს, როდესაც სოციალ-დემოკრატიის ამოცანა მდგომარეობს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერნაციონალური კულტურის გაძლიერებაში.

პარტია მოითხოვს შეტანილ იქნას კონსტიტუციაში ძირითადი კანონი, რომელიც გაუქმებულად აცხადებს ერთი რომელიმე ერის ყოველგვარ პრივილეგიებს, ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების ყოველგვარ დარღვევას.

მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვენ რუსეთის ყველა ეროვნების მუშების გაერთიანებას ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში, პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერატიულ-საგანმანათლებლო და სხვ. ორგანიზაციებში. ერთიან ორგანიზაციებში სხვადასხვა ეროვნების მუშათა მხოლოდ ასეთი გაერთიანება მისცემს საშუალებას პროლეტარიატს აწარმოოს ძლევამოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალთან და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან“ (სკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციებში, ნაწილი I, გვ. 239-240).

ამრიგად, აპრილის კონფერენციაზე გამომჟღავნებულ იქნა კამენევის, ზინოვიევის, პიატაკოვის, ბუხარინის, რიკოვის და მათი მცირერიცხოვანი თანამოაზრეების ოპორტუნისტული, ანტილენინური ხაზი.

კონფერენცია ერთსულოვნად გაჰყვა ლენინს, მან გარკვეული პოზიცია დაიკავა ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში და აიღო ხაზი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

2. დროებითი მთავრობის კრიზისის დაწყება. ბოლშევიკური პარტიის აპრილის კონფერენცია.

იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები რევოლუციის შემდგომი გაშლისათვის ემზადებოდნენ, დროებითი მთავრობა განაგრძობდა თავისი ანტიხალხური საქმის კეთებას. 18 აპრილს დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მილიუკოვმა მოკავშირეებს აცნობა „საერთო-სახალხო მისწრაფება მიიყვანოს მსოფლიო ომი გადამწყვეტ გამარჯვებამდე და დროებითი მთავრობის განზრახვა — სავსებით დაიცვას ჩვენი მოკავშირეების მიმართ ნაკისრები ვალდებულებანი“.

ამგვარად, დროებითი მთავრობა ფიცულობდა, რომ იგი ერთგულია მეფის ხელშეკრულებებისა და ჰპირდებოდა დაეღვარა კიდევ ხალხის იმდენი სისხლი, რამდენიც იმპერიალისტებს დასჭირდებოდათ „საბოლოო გამარჯვების“ მისაღწევად.

19 აპრილს ეს განცხადება („მილიუკოვის ნოტა“) ცნობილი გახდა მუშებისა და ჯარისკაცებისათვის. 20 აპრილს ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მასებს დროებითი მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტისაკენ. 1917 წლის 20-21 აპრილს (3-4 მაისს) მუშათა და ჯარისკაცთა მასები, არანაკლებ 100 ათასი კაცისა, „მილიუკოვის ნოტის“ წინააღმდეგ აღშფოთების გრძნობით მოცულნი, დემონსტრაციაზე გამოვიდნენ. დროშებზე აჭრელებული იყო ლოზუნგები: „გამოაქვეყნეთ საიდუმლო ხელშეკრულებანი!“, „ძირს ომი!“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“. მუშები და ჯარისკაცები განაპირა რაიონებიდან მიდიოდნენ ცენტრისაკენ, იმ ადგილისაკენ, სადაც დროებითი მთავრობა იმყოფებოდა. ნევის პროსპექტსა და სხვა ადგილებში მოხდა შეტაკებანი ბურჟუაზიის ცალკეულ ჯგუფებთან.

ყველაზე გულახდილი კონტრრევოლუციონერები, როგორც გენერალი კორნილოვი, მოუწოდებდნენ დემონსტრანტთა დახვრეტისაკენ და სათანადო ბრძანებებიც კი გასცეს. მაგრამ სამხედრო ნაწილებმა, მიიღეს რა ასეთი ბრძანებანი, უარი განაცხადეს მათ შესრულებაზე.

პარტიის პეტროგრადის კომიტეტის წევრთა მცირე ჯგუფმა (ბოგდატიევი და სხვები) დემონსტრაციის დროს წამოაყენა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის ლოზუნგი. ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად დაჰგმო ამ „მემარცხენე“ ავანტიურისტთა საქციელი, ჩასთვალა რა ასეთი ლოზუნგი არადროულად და არასწორად, რაც ხელს უშლის პარტიას თავის მხარეზე გადაიყვანოს საბჭოების უმრავლესობა და რაც ეწინააღმდეგება პარტიის გეზს რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისაკენ.

20-21 აპრილის ამბები მოასწავებდნენ დროებითი მთავრობის კრიზისის დასაწყისს.

ეს იყო პირველი სერიოზული ბზარი მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლურ პოლიტიკაში.

1917 წლის 2 მაისს მასების ზეგავლენით დროებითი მთავრობიდან გამოყვანილ იქნა მილიუკოვი და გუჩკოვი.

შეიქმნა პირველი **კოალიციური** დროებითი მთავრობა, რომლის შემადგენლობაში ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ მენშევიკები (სკობელევი, წერეთელი) და ესერები (ჩერნოვი, კერენსკი და სხვ.).

ამგვარად, მენშევიკებმა, რომლებიც 1905 წელს უარჰყოფდნენ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლების მონაწილეობას დროებითს **რევოლუციურ** მთავრობაში, ახლა დასაშვებად დაინახეს თავისი წარმომადგენლების მონაწილეობა დროებითს **კონტრრევოლუციურ** მთავრობაში.

ეს იყო მენშევიკებისა და ესერების გადასვლა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ბანაკში.

1917 წლის 24 აპრილს გაიხსნა ბოლშევიკთა VII (აპრილის) კონფერენცია. პარტიის არსებობის განმავლობაში ეს პირველი იყო, როდესაც აშკარად შეიკრიბა ბოლშევიკთა კონფერენცია, რომელსაც თავისი მნიშვნელობით პარტიის ისტორიაში ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც პარტიის ყრილობას.

სრულიად-რუსეთის აპრილის კონფერენციამ ცხადჰყო პარტიის სწრაფი ზრდა. კონფერენციას დაესწრო 133 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 18 დელეგატი სათათბირო ხმით. ისინი წარმოადგენდნენ პარტიის 80 ათას ორგანიზებულ წევრს.

კონფერენციამ განიხილა და შეიმუშავა პარტიის ხაზი ომისა და რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე: მიმდინარე მომენტის შესახებ, ომის შესახებ, დროებითი მთავრობის შესახებ, საბჭოების შესახებ, აგრარული საკითხის შესახებ, ნაციონალური საკითხის შესახებ და ა. შ.

თავის მოხსენებაში ლენინი ანვითარებდა დებულებებს, რომლებიც მან უკვე გამოსთქვა წინათ აპრილის თეზისებში. პარტიის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ განეხორციელებინა გადასვლა რევოლუციის პირველი ეტაპიდან, „რომელმაც ძალაუფლება ბურჟუაზიას გადასცა... მის **მეორე** ეტაპზე, რომელმაც ძალაუფლება ხელთ უნდა მისცეს პროლეტარიატისა და გლეხობის უღარიბეს ფენებს“ (**ლენინი**). პარტიამ უნდა აიღოს კურსი სოციალისტური რევოლუციის მომზადებისაკენ. როგორც პარტიის უახლოესი ამოცანა, ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“.

ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ მოასწავებდა იმას, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ორხელისუფლებიანობას, ე. ი. ხელისუფლების განაწილებას დროებითს მთავრობასა და საბჭოებს შორის, რომ საჭიროა **მთელი** ძალაუფლება გადაეცეს საბჭოებს, ხოლო მემამულეებისა და კაპიტალისტების წარმომადგენლები — განდევნილ იქნან ხელისუფლების ორგანოებიდან.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ პარტიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს იმ ჭეშმარიტების დაუღალავად განმარტება მასებისათვის, რომ „დროებითი მთავრობა თავისი ხასიათის მიხედვით წარმოადგენს მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოს“, აგრეთვე იმის გამომჟღავნება, რომ დამღუპველია ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებლური პოლიტიკა, რომლებიც ატყუებენ ხალხს ცრუ დაპირებებით და უმზადებენ მას იმპერიალისტური ომისა და კონტრრევოლუციის ლახვარს.

კონფერენციაზე ლენინის წინააღმდეგ გამოვიდნენ კამენევი და რიკოვი. ისინი მენშევიკებთან ერთად იმეორებდნენ, რომ რუსეთი არ მომწიფებულა სოციალისტური რევოლუციისათვის, რომ რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკა. ისინი სთავაზობდნენ პარტიასა და მუშათა კლასს დაკმაყოფილებულიყვნენ იმით, რომ „კონტროლი გაეწიათ“ დროებითი მთავრობისათვის. არსებითად ისინი, ისევე როგორც მენშევიკები, იდგნენ კაპიტალიზმის შენარჩუნების, ბურჟუაზიის ხელისუფლების შენარჩუნების პოზიციებზე.

ზინოვიევიც აგრეთვე გამოვიდა კონფერენციაზე ლენინის წინააღმდეგ შემდეგი საკითხის გამო — დარჩეს ბოლშევიკური პარტია ციმერვალდის გაერთიანებაში თუ გასწყვიტოს კავშირი ამ გაერთიანებასთან და შექმნას ახალი ინტერნაციონალი. როგორც ომის წლებმა დაგვანახვა, ეს გაერთიანება, ეწეოდა რა პროპაგანდას მშვიდობიანობის სასარგებლოდ, ფაქტიურად მაინც არ სწყვეტდა კავშირს ბურჟუაზიულ ობორონცებთან. ამიტომ ლენინი მოითხოვდა ამ გაერთიანებიდან დაუყოვნებლივ გამოსვლას და ახალი, კომუნისტური ინტერნაციონალის მოწყობას. ზინოვიევმა მოითხოვა ციმერვალდელებთან დარჩენა. ლენინმა გადაჭრით დაჰგმო ზინოვიევის ეს გამოსვლა, უწოდა რა მის ტაქტიკას „არქიოპორტუნისტული და მავნე“.

აპრილის კონფერენციამ აგრეთვე განიხილა აგრარული და ნაციონალური საკითხები.

ლენინის მოხსენების გამო აგრარულ საკითხზე კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება მემამულეთა მიწების კონფისკაციის შესახებ მათი გადაცემით გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში და სახელმწიფოში მთელი მიწების ნაციონალიზაციის შესახებ. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ გლეხობას მიწისათვის საბრძოლველად და უმტკიცებდნენ გლეხთა მასებს, რომ ბოლშევიკების პარტია წარმოადგენს ერთადერთ რევოლუციურ პარტიას, რომელიც საქმით ეხმარება გლეხებს მემამულეთა დამხობაში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხ. სტალინის მოხსენებას ნაციონალურ საკითხზე. ლენინმა და სტალინმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, იმპერიალისტური ომის წინ, შეიმუშავეს ნაციონალურ საკითხზე ბოლშევიკთა პარტიის პოლიტიკის საფუძვლები. ლენინი და სტალინი ამბობდნენ, რომ პროლეტარული პარტია მხარს უნდა უჭერდეს ჩაგრულ ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მიმართულს იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, ბოლშევიკური პარტია იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას თვით ჩამოშორებამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამდეც კი. ამ თვალსაზრისს იცავდა კონფერენციაზე ცენტრალური კომიტეტის მომხსენებელი ამხ. სტალინი.

ლენინისა და სტალინის წინააღმდეგ გამოდიოდა პიატაკოვი, რომელსაც ბუხარინთან ერთად ჯერ კიდევ ომის წლებში ნაციონალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა ნაციონალურ საკითხში. პიატაკოვი და ბუხარინი ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგი იყვნენ.

პარტიის გადამწყვეტმა და თანამიმდევრობითმა პოზიციამ ნაციონალურ საკითხში, პარტიის ბრძოლამ ერთა სრული თანასწორუფლებიანობისათვის და ნაციონალური ჩაგვრისა და ნაციონალური არათანასწორუფლებიანობის ყველა ფორმის მოსპობისათვის უზრუნველჰყვეს ჩაგრულ ეროვნებათა სიმპატიები და მხარდაჭერა მისდამი.

აი ტექსტი რეზოლუციისა ნაციონალურ საკითხზე, მიღებული აპრილის კონფერენციის მიერ:

„ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას, როგორც თვითმპყრობელობისა და მონარქიის მემკვიდრეობას, მხარს უჭერენ მემამულეები, კაპიტალისტები და წვრილი ბურჟუაზია მათი კლასობრივი პრივილეგიების დაცვის და სხვადასხვა ეროვნების მუშათა ერთმანეთისაგან ჩამოშორების ინტერესებისათვის. თანამედროვე იმპერიალიზმი, აძლიერებს რა მისწრაფებებს სუსტი ხალხების დამორჩილებისაკენ, წარმოადგენს ნაციონალური ჩაგვრის გამწვავების ახალ ფაქტორს.

რამდენადაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში შესაძლებელია ნაციონალური ჩაგვრის აცილება, ეს შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს თანამიმდევრულ-დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილებისა და მართვა-გამგეობის დროს, რაც უზრუნველჰყოფს ყველა ერისა და ენის სრულ თანასწორუფლებიანობას.

ყველა ერს, რომლებიც რუსეთის შემადგენლობაში შედიან, უნდა მიენიჭოს თავისუფლად ჩამოშორების და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. ასეთი უფლების უარყოფა და ისეთ ღონისძიებათა მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მის პრაქტიკულ განხორციელებას, უდრის დაპყრობებისა ან ანექსიების პოლიტიკისათვის მხარდაჭერას. მხოლოდ პროლეტარიატის მიერ ერთა ჩამოშორების უფლების აღიარება უზრუნველჰყოფს სხვადასხვა ეროვნებათა მუშების სრულ სოლიდარობას და ხელს უწყობს ერების ნამდვილ დემოკრატიულ დაახლოებას...

შეუძლებელია ერთა თავისუფალი ჩამოშორების უფლების საკითხის არევა ამა თუ იმ მომენტში ამა თუ იმ ერის ჩამოშორების მიზანშეწონილობის საკითხთან. ეს უკანასკნელი საკითხი პროლეტარიატის პარტიამ უნდა გადასჭრას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად, მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი

3. ბოლშევიკური პარტიის წარმატებანი დედაქალაქში. დროებითი მთავრობის ჯარების მარცხით დამთავრებული შეტევა ფრონტზე. მუშათა და ჯარისკაცთა ივლისის დემონსტრაციის ჩახშობა.

პარტიამ აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გაჩაღა უდიდესი მუშაობა მასების მოზიდვის, მათი საბრძოლო აღზრდისა და ორგანიზაციის დარგში. ამ პერიოდში პარტიის ხაზი მდგომარეობდა იმაში, რათა ბოლშევიკური პოლიტიკის მოთმინებით ახსნა-განმარტებისა და მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობის მხილების გზით მოეხდინა ამ პარტიების იზოლირება მასებისაგან, მოეპოვებინა უმრავლესობა საბჭოებში.

საბჭოებში მუშაობის გარდა ბოლშევიკები უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ პროფკავშირებში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა დაიწყეს ბოლშევიკებმა არმიაში. ყველგან იქმნებოდა სამხედრო ორგანიზაციები. ფრონტებზე და ზურგში ბოლშევიკები დაუღალავად მუშაობდნენ ჯარისკაცებისა და მეზღვაურების დასარაზმავად. ჯარისკაცების გარევოლუციურების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ბოლშევიკურმა საფრონტო გაზეთმა „ოკოპნაია პრავდამ“.

ბოლშევიკების ამ პროპაგანდისტულ-სააგიტაციო მუშაობის მეოხებით რევოლუციის უკვე პირველ თვეებში მუშებმა მრავალ ქალაქში გადაირჩიეს საბჭოები, განსაკუთრებით რაიონული საბჭოები, ერეკებოდნენ მენშევიკებსა და ესერებს და მათ ნაცვლად ირჩევდნენ ბოლშევიკური პარტიის მომხრეებს.

ბოლშევიკების მუშაობა საუცხოო შედეგებს იძლეოდა, განსაკუთრებით პეტროგრადში.

1917 წლის 30 მაისს — 3 ივნისს შესდგა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების პეტროგრადის კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ბოლშევიკებს მიჰყვებოდა დელეგატთა უკვე სამი მეოთხედი. პეტროგრადის პროლეტარიატი თითქმის მთლიანად უჭერდა მხარს ბოლშევიკურ ლოზუნგს — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.

1917 წლის 3 (16) ივნისს შეიკრიბა საბჭოების I სრულიად-რუსეთის ყრილობა. ბოლშევიკები ჯერ კიდევ უმცირესობას შეადგენდნენ საბჭოებში, — მათ ყრილობაზე ჰყავდათ 100-ზე ცოტა მეტი დელეგატი წინააღმდეგ 700-800 მენშევიკისა, ესერისა და სხვებისა.

ბოლშევიკები საბჭოების I ყრილობაზე დაჟინებით ააშკარავებდნენ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის დამღუპველობას, ააშკარავებდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს. ლენინი ყრილობაზე გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც ამტკიცებდა ბოლშევიკების ხაზის სისწორეს, აცხადებდა რა, რომ მხოლოდ საბჭოების ხელისუფლებას შეუძლია მისცეს მშრომელებს პური, გლეხებს მიწა, მიაღწიოს ზავს, გამოიყვანოს ქვეყანა ნგრევიდან.

ამ დროს პეტროგრადის მუშათა რაიონებში მიმდინარეობდა მასობრივი კამპანია დემონსტრაციის მოწყობისა და საბჭოების ყრილობისათვის მოთხოვნათა წარდგენისათვის. მუშათა თვითნებური დემონსტრაცია რომ თავიდან აეცილებინა, და იმ ვარაუდით, რომ თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა მასების რევოლუციური განწყობილება, პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა დაენიშნა პეტროგრადში დემონსტრაცია 18 ივნისისათვის (1 ივლისისათვის). მენშევიკები და ესერები ვარაუდობდნენ, რომ დემონსტრაცია ჩატარდებოდა ანტიბოლშევიკური ლოზუნგებით. ბოლშევიკური პარტია ენერგიულად შეუდგა მზადებას ამ დემონსტრაციისათვის. ამხ. სტალინი სწერდა მაშინ „პრავდაში“, რომ „...ჩვენი ამოცანაა — მივაღწიოთ იმას, რომ 18 ივნისის დემონსტრაციამ პეტროგრადში ჩვენი რევოლუციური ლოზუნგებით ჩაიაროს“.

1917 წლის 18 ივნისის დემონსტრაცია, რომელიც რევოლუციის მსხვერპლთა საფლავებთან სწარმოებდა, ბოლშევიკური პარტიის ძალთა ნამდვილი დათვალიერება აღმოჩნდა. მან გვიჩვენა მასების მზარდი რევოლუციურობა და მათი მზარდი ნდობა ბოლშევიკური პარტიისადმი. მენშევიკებისა და ესერების ლოზუნგები დროებითი მთავრობისადმი ნდობის შესახებ, ომის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ ინთქმებოდა ბოლშევიკური ლოზუნგების უდიდეს მასაში. 400 ათასმა დემონსტრანტმა გაიარა დროშებით, რომლებზეც ეწერა ლოზუნგები: „ძირს ომი!“, „ძირს ათი მინისტრი - კაპიტალისტი!“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.

ეს იყო მენშევიკებისა და ესერების სრული დამარცხება, დროებითი მთავრობის დამარცხება დედაქალაქში.

მაგრამ დროებითმა მთავრობამ, რომელსაც საბჭოების I ყრილობამ დაუჭირა მხარი, გადასწყვიტა განეგრძო იმპერიალისტური პოლიტიკა. სწორედ 18 ივნისის დღეს დროებითმა მთავრობამ, ასრულებდა რა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა ნება-სურვილს, ფრონტზე ჯარისკაცები შეტევაზე გარეკა. ამ შეტევაში ბურჟუაზია ხედავდა რევოლუციისათვის ბოლოს მოღების ერთადერთ შესაძლებლობას. შეტევის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ბურჟუაზიას იმედი ჰქონდა, რომ მთელ ძალაუფლებას თავის ხელში აიღებდა, ჩამოიცილებდა საბჭოებს და გასრესდა ბოლშევიკებს. მარცხის შემთხვევაში შეიძლებოდა მთელი დანაშაულის გადაბრალება იმავე ბოლშევიკებისათვის, მათთვის ბრალის დადება არმიის გახრწნაში.

ეჭვი არ შეიძლებოდა გვქონოდა, რომ შეტევა მარცხით დამთავრდებოდა. და იგი მართლაც დამარცხდა. ჯარისკაცთა დაღლილობამ, მათ მიერ შეტევის მიზნის გაუგებლობამ, ჯარისკაცთათვის უცხო მეთაურთა შემადგენლობისადმი უნდობლობამ, ყუმბარებისა და არტილერიის ნაკლებობამ, — ყოველივე ამან განსაზღვრა შეტევის დამარცხება ფრონტზე.

ფრონტზე შეტევის ამბავმა, ხოლო შემდეგ შეტევის დამარცხების ამბავმა ააფორიაქა დედაქალაქი. მუშებისა და ჯარისკაცების აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა. გამოდიოდა, რომ როდესაც საზავო პოლიტიკას აცხადებდა, დროებითი მთავრობა ატყუებდა ხალხს. გამოდიოდა, რომ დროებითი მთავრობა მხარს უჭერს იმპერიალისტური ომის გაგრძელებას. გამოდიოდა, რომ საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და პეტროგრადის საბჭომ არ მოისურვეს ან ვერ შესძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ დროებითი მთავრობის დანაშაულებრივ მოქმედებათათვის და თვითონ გაჰყვნენ მას კუდში.

პეტროგრადის მუშებისა და ჯარისკაცების რევოლუციური აღშფოთება უსაზღვრო იყო. 3 (16) ივლისს პეტროგრადში, ვიბორგის რაიონში, სტიქიურად დაიწყო დემონსტრაციები. ისინი მთელ დღეს გრძელდებოდა. ცალკეული დემონსტრაციები გადაიქცნენ საერთო გრანდიოზულ შეიარაღებულ დემონსტრაციად ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის ლოზუნგით. ბოლშევიკური პარტია წინააღმდეგი იყო შეიარაღებული აჯანყებისა ამ მომენტში, რადგან იგი სთვლიდა, რომ რევოლუციური კრიზისი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა, რომ არმია და პროვინცია ჯერ კიდევ მზად არ არიან დედაქალაქში აჯანყების მხარდასაჭერად, რომ იზოლირებულ და ნაადრევ აჯანყებას დედაქალაქში შეუძლია მხოლოდ გაუადვილოს კონტრრევოლუციას რევოლუციის ავანგარდის განადგურება. მაგრამ როდესაც ცხადი შეიქნა, რომ მასების შეკავება დემონსტრაციისაგან შეუძლებელია, პარტიამ დაადგინა მიეღო მონაწილეობა დემონსტრაციაში, რათა მისთვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცა. ბოლშევიკების პარტიამ შესძლო ეს, და ასიათასობით დემონსტრანტები გაემართნენ პეტროგრადის საბჭოსა და საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაკენ, სადაც საბჭოებისაგან მოითხოვდნენ აეღო ძალაუფლება თავის ხელში, გაეწყვიტა კავშირი იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან და გაეტარებინა ზავის აქტიური პოლიტიკა.

მიუხედავად დემონსტრაციის მშვიდობიანი ხასიათისა, დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყვანილ იქნენ რეაქციული ნაწილები — იუნკერთა და ოფიცერთა რაზმები. პეტროგრადის ქუჩები უხვად იქნა მორწყული მუშებისა და ჯარისკაცების სისხლით. მუშების გასანადგურებლად ფრონტიდან გამოწვეულ იქნენ ყველაზე ბნელი, კონტრრევოლუციური სამხედრო ნაწილები.

მენშევიკებმა და ესერებმა, ბურჟუაზიასთან და თეთრგვარდიელ გენერლებთან შეკავშირებულებმა, მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაციის ჩახშობის შემდეგ გაილაშქრეს ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. „პრავდის“ რედაქციის შენობა დარბეულ იქნა. „პრავდა“, „სოლდატსკაია პრავდა“ და მთელი რიგი ბოლშევიკური გაზეთები დახურეს, ქუჩაში იუნკრების მიერ მოკლულ იქნა მუშა ვოინოვი მხოლოდ იმისათვის, რომ „ლისტოკ პრავდის“ ჰყიდდა. დაიწყო წითელგვარდიელთა განიარაღება. პეტროგრადის გარნიზონის რევოლუციური ნაწილები გაიყვანეს დედაქალაქიდან და ფრონტზე გაგზავნეს. მოხდა დაპატიმრებანი ზურგში და ფრონტებზე. 7 ივლისს გამოცემულ იქნა ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულ იქნენ ბოლშევიკური პარტიის მთელი რიგი თვალსაჩინო მოღვაწეები. დარბეულ იქნა სტამბა „ტრუდი“, სადაც ბოლშევიკური გამოცემები იბეჭდებოდა. პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ლენინი და მთელი რიგი სხვა ბოლშევიკები მიცემული არიან სამართალში „სახელმწიფო ღალატისა“ და შეიარაღებულ აჯანყების მოწყობისათვის. ბრალდება ლენინის წინააღმდეგ შეთითხნილი იყო გენერალ დენიკინის შტაბში ჯაშუშებისა და პროვოკატორების ჩვენებათა საფუძველზე.

ამრიგად, კოალიციური დროებითი მთავრობა, რომელშიც შედიოდნენ მენშევიკებისა და ესერების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორც წერეთელი და სკობელევი, კერენსკი და ჩერნოვი, — დაექანა აშკარა იმპერიალიზმისა და კონტრრევოლუციის ჭაობში. საზავო პოლიტიკის ნაცვლად მან დაიწყო ომის განგრძობის პოლიტიკის გატარება. ხალხის დემოკრატიულ უფლებათა დაცვის ნაცვლად მან დაიწყო გატარება ამ უფლებების ლიკვიდაციისა და მუშებთან და ჯარისკაცებთან იარაღის ძალით გასწორების პოლიტიკის გატარება.

რის გაკეთებასაც ვერ ბედავდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები — გუჩკოვი და მილიუკოვი, მისი გაკეთება გაბედეს „სოციალისტებმა“ — კერენსკიმ და წერეთელმა, ჩერნოვმა და სკობელევმა.

დამთავრდა ორხელისუფლებიანობა.

დამთავრდა ბურჟუაზიის სასარგებლოდ, ვინაიდან მთელი ძალაუფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში, ხოლო საბჭოები მათი ესერულ-მენშევიკური ხელმძღვანელობით გადაიქცნენ დროებითი მთავრობის დანამატად.

დამთავრდა რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი, ვინაიდან დღის წესრიგში დაყენებულ იქნა ხიშტი.

შეცვლილი ვითარების გამო ბოლშევიკურმა პარტიამ გადასწყვიტა შეეცვალა თავისი ტაქტიკა. იგი გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე, თავისი ბელადი ლენინი ღრმა იატაკქვეშეთში დამალა და იწყო მზადება აჯანყებისათვის, რათა იარაღის ძალით დაემხო ბურჟუაზიის ხელისუფლება და დაემყარებინა საბჭოთა ხელისუფლება.

4. ბოლშევიკების პარტიის კურსი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. პარტიის მე-VI ყრილობა.

ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პრესის მიერ არაჩვეულებრივი დევნის ვითარებაში პეტროგრადში შეიკრიბა ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობა. შეიკრიბა იგი ათი წლის შემდეგ ლონდონის V ყრილობიდან და ხუთი წლის შემდეგ ბოლშევიკთა პრაღის კონფერენციიდან. ყრილობა გრძელდებოდა 1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე და ტარდებოდა არალეგალურად. პრესაში გამოცხადებული იყო მხოლოდ ყრილობის მოწვევის შესახებ, ყრილობის ადგილი არ იყო აღნიშნული. პირველი სხდომები სწარმოებდა ვიბორგის მხარეზე. უკანასკნელი სხდომები ჩატარებულ იქნა სკოლის შენობაში ნარვის კართან, სადაც ახლა კულტურის სახლია აშენებული. ბურჟუაზიული პრესა მოითხოვდა ყრილობის მონაწილეთა დაპატიმრებას. მაძებრები დაიქანცნენ ყრილობის სხდომის ადგილის ძებნაში, მაგრამ მაინც ვერ იპოვნეს იგი.

ასე, ცარიზმის დამხობიდან ხუთი თვის შემდეგ, ბოლშევიკები იძულებული იყვნენ შეკრებილიყვნენ ფარულად, ხოლო პროლეტარული პარტიის ბელადი, ლენინი იძულებული იყო ამ ხნის განმავლობაში ფარულად ეცხოვრა ქოხში სადგურ რაზლივის მახლობლად.

ლენინს, რომელსაც დროებითი მთავრობის ჯაშუშები სდევნიდნენ, არ შეეძლო დასწრებოდა ყრილობას, მაგრამ იგი ხელმძღვანელობდა მას იატაკქვეშეთიდან პეტროგრადში მყოფი თავისი თანამებრძოლთა და მოწაფეთა — სტალინის, სვერდლოვის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის საშუალებით.

ყრილობას დაესწრო 157 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 128 — სათათბიროთი. პარტია იმ დროისათვის ითვლიდა 240 ათასამდე კაცს. 3 ივლისისათვის, ესე-იგი მუშათა დემონსტრაციის დარბევამდე, როდესაც ბოლშევიკები ჯერ კიდევ ლეგალურად მუშაობდნენ, პარტიას ჰქონდა 41 ბეჭდვითი ორგანო, აქედან 29 რუსულ ენაზე და 12 სხვა ენებზე.

ბოლშევიკების, მუშათა კლასის დევნა-შევიწროებამ ივლისის დღეებში არა თუ არ შეამცირა ჩვენი პარტიის გავლენა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გაზარდა იგი. ადგილებიდან გამოგზავნილ დელეგატებს მოჰყავდათ მრავალი ფაქტი იმის შესახებ, რომ მუშებმა და ჯარისკაცებმა მასობრივად იწყეს მენშევიკებისა და ესერების დატოვება, ზიზღით უწოდებენ მათ „სოციალ-ჯალათებს“. მუშები და ჯარისკაცები, მენშევიკებისა და ესერების პარტიების წევრები, ხევდნენ თავიანთ საწევრო ბილეთებს და წყევლა-კრულვით მიდიოდნენ მათი პარტიებიდან, სთხოვდნენ ბოლშევიკებს მიეღოთ ისინი თავიანთ პარტიაში.

ყრილობის ძირითადი საკითხები იყო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და საკითხი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხებზე გაკეთებულ მოხსენებებში ამხანაგი სტალინი მთელი სიზუსტით გვიჩვენებდა, რომ, მიუხედავად ბურჟუაზიის ყველა ცდისა ჩაახშოს რევოლუცია, რევოლუცია იზრდება და ვითარდება. იგი გვიჩვენებდა, რომ რევოლუცია აყენებს პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე მუშათა კონტროლის განხორციელების, გლეხებისათვის მიწის გადაცემის, ბურჟუაზიის ხელიდან ძალაუფლების მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის ხელში გადაცემის საკითხს. იგი ამბობდა, რომ რევოლუცია თავისი ხასიათით ხდება — სოციალისტური.

პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში ივლისის დღეების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა. მოისპო ორხელისუფლებიანობა. საბჭოებმა მათი ესერულ - მენშევიკური ხელმძღვანელობით არ ისურვეს მთელი ძალაუფლების აღება. ამიტომ საბჭოები უძალაუფლებონი გახდნენ. ძალაუფლება მოექცა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხელში, ხოლო უკანასკნელი განაგრძობდა რევოლუციის განიარაღებას, მისი ორგანიზაციების განადგურებას, ბოლშევიკების პარტიის განადგურებას. რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობანი გაჰქრა. დაგვრჩენია, ამბობდა ამხანაგი სტალინი, ერთი—ძალით ავიღოთ ძალაუფლება, დავამხოთ დროებითი მთავრობა. მაგრამ ძალაუფლების ძალით აღება შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს სოფლის ღარიბ მოსახლეობასთან შეკავშირებით.

საბჭოები, რომლებსაც ჯერ კიდევ მენშევიკები და ესერები ხელმძღვანელობდნენ, დაექანენ ბურჟუაზიის ბანაკში და ახლანდელი მდგომარეობის დროს მათ შეუძლიათ გამოვიდნენ მხოლოდ დროებითი მთავრობის ხელშემწყობთა როლში. ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, ამბობდა ამხანაგი სტალინი, ივლისის დღეების შემდეგ უნდა მოიხსნას. მაგრამ ამ ლოზუნგის დროებით მოხსნა სრულებითაც არ ნიშნავს ხელისაღებას საბჭოების ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე. ლაპარაკია არა საბჭოებზე საერთოდ, როგორც რევოლუციური ბრძოლის ორგანოებზე, არამედ მხოლოდ მოცემულ საბჭოებზე, რომლებსაც მენშევიკები და ესერები ხელმძღვანელობენ.

„რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — დადგა არამშვიდობიანი პერიოდი, შეტაკებათა და აფეთქებათა პერიოდი...“ (რსდმპ (ბ) VI ყრილობის ოქმები, გვ. 111).

პარტია მიდიოდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ყრილობაზე აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ასახავდნენ რა ბურჟუაზიულ გავლენას, გამოვიდნენ სოციალისტური რევოლუციისაკენ აღებული კურსის წინააღმდეგ.

ტროცკისტი პრეობრაჟენსკი წინადადებას იძლეოდა ძალაუფლების დაპყრობის შესახებ რეზოლუციაში აღნიშნული ყოფილიყო, რომ ქვეყნის წარმართვა სოციალისტური გზით შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ დასავლეთში იქნება პროლეტარული რევოლუცია.

ამ ტროცკისტული წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა ამხანაგი სტალინი.

„გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ სახელდობრ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... საჭიროა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგევარ უკანასკნელის ნიადაგზე“ (პარტიის VI ყრილობის ოქმები, გვ. 233—234).

ბუხარინი, იმყოფებოდა რა ტროცკისტულ პოზიციებზე, ამტკიცებდა, რომ გლეხები ობორონცულად არიან განწყობილნი, რომ მათ ბლოკი აქვთ ბურჟუაზიასთან და არ გაჰყვებიან მუშათა კლასს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ალვარეს დელ ვაიოს სიტყვა

ერთა ლიგის პლენუმზე

ჟენევა, 19 სექტემბერი (საკდესი). დღეს დილით ერთა ლიგის გენერალური მდივნის მოხსენების გამო გამართულ საერთო დისკუსიაში ლიგის პლენუმზე პირველი გამოვიდა კამო (კოლუმბია), რომელმაც განაცხადა, რომ კოლუმბია მხარს უჭერს ერთა ლიგას, მიუხედავად მისი მარცხისა.

დიდი სიტყვით გამოვიდა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალვარეს დელ ვაიო. მან სთქვა:

„ესპანეთი ლიგის პლენუმზე მესამედ გამოდის, როგორც აგრესიის მსხვერპლი. სურთ იგი თუ არ სურთ,—მისი აქ დასწრება საბრალდებო აქტს წარმოადგენს მათ წინააღმდეგ, ვის მოვალეობასაც შეადგენს ლიგის წესდების შესრულება და, რომელნიც ამის ნაცვლად იმას უფრო არჩევენ რომ ერთა ლიგა დაიღუპოს, ვიდრე შეეცადოს მიიღოს სერიოზული ზომები და ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო მშვიდობიანობის მტრების გამანადგურებელ მუშაობას.

პოლიტიკას, რომელიც უკანასკნელ წლებში ტარდება ჟენევაში და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ წესდება და საერთაშორისო მორალის ძირითადი მოთხოვნანი მსხვერპლად მოუტანონ ამაო იმედს იმისას, რომ მუდმივი დათმობების გზით შეასუსტონ აგრესია, აუცილებლად უნდა მივეყვანეთ დღევანდელ მძიმე საერთაშორისო მდგომარეობამდე.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ერთა ლიგა არასოდეს არ შეკრებილა პლენუმზე ასეთ მძიმე ატმოსფეროში. ერთა ლიგის კარებთან გაისმის ომისაკენ მოწოდების ხმა. გვიწვევენ ვიკისროთ იმ მიუდგომელ მაყურებელთა როლი, რომელნიც გულგრილად ელოდებიან ფარდის ახდას საშინელი ტრაგედიის დაწყების წინ. მაგრამ მეტად წარმოუდგენელი იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ დუმილის ამ შეთქმულებაში მონაწილეობას მიიღებენ იმ ხალხის წარმომადგენელნი, რომელიც ორი წლის განმავლობაში თავის სისხლს ჰღვრის იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალოს აგრესიის ძალების მიერ ომის გაჩაღებას მთელს ევროპაში. ესპანეთის დელეგაციამ, რომელიც პასუხისმგებლობის გრძნობით არის აღსავსე, გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს კოლექტიური უშიშროების პრინციპებს და ბოლომდე შეასრულოს თავისი მოვალეობა. იგი ჰგმობს ერთა ლიგის წესდების ყოველგვარ შესუსტებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ლახვარი იქნებოდა ლიგისათვის“.

სწორედ ამიტომ თხოულობდა ესპანეთის დელეგაცია, — განაგრძო დელ-ვაიომ,—რათა გენერალური მდივნის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ესპანეთის მდგომარეობას შეეხება, მეექვსე (პოლიტიკური) კომისიისათვის გადაეცათ.

„გენერალურ მდივანს, — განაცხადა დელ ვაიომ,—არ შეუძლია აღნიშნოს თავის ამა წლის ანგარიშში არც ერთი ისეთი მოვლენა, რომელიც ამართლებდეს დღემდე წარმოებული პოლიტიკის განგრძობას. აგრესორისადმი დათმობისა და აგრესიის უგულებელყოფის ტაქტიკამ გარდუვალად მიგვიყვანა მღელვარებისა და შეშფოთების იმ წუთებამდე, რომელსაც ამჟამად განვიცდით. არავის არ გაუკეთებია იმაზე მეტი იმისათვის, რომ ომისაკენ წარემართნა მოვლენათა განვითარება, ვიდრე იმათ, ვინც მოწოდებული იყო ეხსნა მშვიდობიანობა.

ჩინელი ხალხი თავის ბედზე იყო მიგდებული. მე ქედს ვიხრი ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლის წინაშე. სოლიდარობის ამ გრძნობას გამოვთქვამ იმ ხალხის სახელით, რომელმაც თვითონ იგემა ომის საშინელებანი, მაგრამ რომელიც ისევე, როგორც ჩინელი ხალხი, უფრო სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე თავისი ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობის შეწყვეტას.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა უეცრად გაჰქრა ჩვენი წრიდან თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო (ლაპარაკია ავსტრიაზე), რომელიც ჯერ კიდევ ერთი დღის წინათ ერთა ლიგის წევრის სუვერენული უფლებებით სარგებლობდა და რომელიც რეგულარულად თანამშრომლობდა ჩვენთან ერთად მუშაობაში. ამაო იქნებოდა გენერალური მდივნის სიტყვაში გვეძებნა ამ ქვეყნის მიმართ თანაგრძნობის თუნდაც რამდენიმე სიტყვა. ამიტომ აგრესორებმა იციან, რომ ერთა ლიგის წევრი სახელმწიფო შეუძლიათ სრულიად დაუსჯელად გააქრონ და, რომ ერთა ლიგის მატიანეში ეს გაქრობა არც კი იქნება შეტანილი საერთაშორისო დანაშაულთა სიაში. ესპანეთის დელეგაციის სურვილი იქნებოდა, ნება მიეცა თავისი თავისათვის აღშფოთებითა და პროტესტით შეხედნა იმ ადგილისათვის, რომელიც ოდესღაც ავსტრიის დელეგაციას ეჭირა.

უკვე დიდი ხანია უნდა გვქონოდა იმის მოლოდინი, რომ ეგრედწოდებული „რეალისტური პოლიტიკის“ შედეგად მშვიდობიანობისა და კანონიერებისადმი მისი სიძულვილითურთ, ჩეხოსლოვაკიის მიმართ აგრესიის ცდას წავაწყდებოდით. ესპანეთსა და ჩინეთზე დაუსჯელმა თავდასხმამ არ შეიძლება არ წააქეზოს ისინი, ვინც აულაგმავი ძალმომრეობის ზეიმი ერთადერთ საერთაშორისო რეალობად გადააქცია.

უფრო მეტი პასუხისმგებლობა აწევთ არა თვით აგრესორებს, არამედ მათ თანამზრახველებს. აგრესორების თანამზრახველები არიან ის სახელმწიფოები, რომლებმაც ერთა ლიგა მის საკუთარ მარცხთა რეგისტრაციის უბრალო ბიუროდ გადააქციეს. სწორედ ეს სახელმწიფონი არიან პასუხისმგებელნი დღევანდელი მდგომარეობისათვის.

მე ვფიქრობ, რომ სრული უფლება მაქვს ამგვარად ვილაპარაკო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქვეყანა აგრესიის მსხვერპლი გახდა და მისი ბრძოლის ყველაზე უფრო მძიმე წუთებში აბუჩად იგდებდნენ მას ეგრედწოდებული „ჩაურევლობის“ პოლიტიკის გატარებით, — არც ერთ სხვა სახელმწიფოს თავი დიდად არ შეუწუხებია იმისათვის, რომ ხელი შეეშალნა იმ კონფლიქტის საერთო ხანძრად გადაქცევისათვის, რომელიც ესპანეთის ტერიტორიაზე ხდება.

ჩვენ არავითარ პროვოკაციას არ ავჰყევით, მათ შორის არც იმ პროვოკაციებს, რასაც აწყობდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც თავისთავს ჩვენს მეგობრებს უწოდებდნენ, მაგრამ სინამდვილეში კი ხელს უწყობდნენ ფაშისტურ სახელმწიფოებს. ეს სახელმწიფოები ჩვენ უარს გვეუბნებიან იმ უფლებაშიც კი, რომ ნაწილობრივ მაინც გავუწიოთ წინააღმდეგობა აგრესორ სახელმწიფოთა მიერ სამხედრო მასალების მუდმივ და მზარდ მიწოდებას, რაც ესპანეთის ხალხის განადგურებას იწვევს. უპასუხისმგებლობის საერთო ატმოსფეროში ჩვენ დავამტკიცეთ საერთაშორისო პასუხისმგებლობის ჩვენი დიდი გრძნობა. ვერავინ ვერ გაჰბედავს დაამტკიცოს, რომ საკუთარი თავის დასახსნელად ვცდილობდით ჩაგვეთრია სხვა სახელმწიფოები საყოველთაო ომში. ესპანეთის უშიშროება მინდობილი აქვს რესპუბლიკურ არმიას, რომელიც მადრიდის, გვადალახარის, ლევანტის, ებროსა და ესტრამადურის ფრონტებზე იმის ბრწყინვალე დამამტკიცებელ საბუთს იძლევა, რომ ესპანეთის ხალხი სიცოცხლისუნარიანია და მას გადაწყვეტილი აქვს დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა. ამ არმიის არსებობა ესპანეთს ისეთ ქვეყნად ხდის, რომელსაც ამიერიდან ანგარიში უნდა გაუწიონ ყოველგვარი სერიოზული კრიზისის დროს.

როდესაც ორი წლის წინათ ლიგის პლენუმის წინაშე გამოვედი და ვწინასწარმეტყველებდი ჩვენი წინააღმდეგობის გაძლიერებას და ჩვენს საბოლოო გამარჯვებას, მაშინ სავსებით ვგრძნობდი, რომ არსებობს ერთგვარი სკეპტიციზმი იმის შესაძლებლობის შესახებ, რომ ისეთ ქვეყანას, როგორიც ესპანეთია, აღმოაჩნდებოდა უნარი წინააღმდეგობა გაეწია ევროპის ორი დიდი აგრესიული სახელმწიფოს შეერთებული ძალისათვის. მე ვიმედოვნებ, რომ დღეს, — როდესაც ვიმეორებ ამ წინასწარმეტყველებას ჩვენი საბოლოო გამარჯვების აუცილებლობის შესახებ, — ისინი, ვინც მაშინ გულწრფელად სთვლიდა ერთადერთ გამოსავლად ფაშისტურ სახელმწიფოთა წინაშე კაპიტულაციას, თავის აზრს შეიცვლიან. უდიდესი წვლილი საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეში, რომელიც რესპუბლიკურ ესპანეთს შეუძლია გაიღოს დღეს ჟენევაში, ეს არის აგრესორისათვის წინააღმდეგობის წარმატებით გაწევის მისი მაგალითი. ხოლო თუ აგრესორს ისეთი წარმოდგენა შეექმნება, რომ ერთი სახელმწიფო შეიძლება შთანთქმულ იქნას ისე, რომ სხვა სახელმწიფოები გულგრილად შეჰყურებდნენ და ლიგამ კი არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიოს, მაშინ ყველა ხალხი, ისევე როგორც მშვიდობიანობა, მართლაც საფრთხეში იქნებოდა.

ესპანეთის ხალხი გმირულად უწევს წინააღმდეგობას აგრესორებს და ამით არსებითად ეხმარება მშვიდობიანობის საქმეს. სხვა სახელმწიფოები კი თავისი უძლურებითა და გაუბედაობით, უფრო მეტად კი თავისი დამთმობლობით მხოლოდ ამხნევებს და ამაგრებს აგრესორებს.

1938 წლის მარტში რომ მართალნი გამომდგარიყვნენ ისინი, ვინც შვებით შეხვდებოდა ესპანეთის რესპუბლიკის განადგურებას, მაშინ საფრანგეთი ახლა იძულებული იქნებოდა კიდევ ერთი თავისი საზღვარი დაეცვა, ხოლო აგრესია ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ უკვე მომხდარი ფაქტი იქნებოდა. უცხოეთის მთელი სამხედრო ძალები მთელ სამხედრო აღჭურვილობას, რასაც ასეთი საოცარი სიუხვით ხმარობენ ამჟამად ესპანეთის წინააღმდეგ, აგრესორები ევროპაში წარმოებულ თავიანთ ბრძოლაში შემდგომი ობიექტებისათვის გამოიყენებდნენ.

„ესპანეთი გამარჯვებამდე განაგრძობს თავის ბრძოლას ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, — უძლიერესი ხაზგასმით აღნიშნა დელ ვაიომ. — ნურავინ იფიქრებს, რომ შეიძლება იმ ასიათასობით ესპანელთა სისხლით ვაჭრობა, რომელთაც თავი დასდეს არა მარტო საკუთარი ქვეყნის დასაცავად, არამედ ევროპის დემოკრატიის დასაცავადაც. ესპანეთი არ წარმოადგენს ტერიტორიის ისეთ ნაჭერს, რომელიც შეიძლება შესაჭმელად მიეცეს აგრესორებს იმისათვის, რომ დროებით დაკმაყოფილებულ იქნას მათი მადა. ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოები აქ იმიტომ როდი ესწრებიან, რომ დიდმა სახელმწიფოებმა — აგრეთვე ლიგის წევრებმა — ვაჭრობის ობიექტად გადააქციონ ისინი“.

დელ ვაიო აღნიშნავს, რომ აგრესორებისათვის სისტემატური დათმობის პოლიტიკამ კოლექტიური უშიშროების შესუსტება გამოიწვია და აიძულა მთელი რიგი სახელმწიფოები სხვის ხარჯზე ეწარმოებინათ მოლაპარაკება საკუთარი უშიშროების შესახებ. „და რამდენადაც საჭირო ხდება, — განაგრძობს იგი, — გადაუხადონ აგრესორებს ერთგვარი ფასი ომისაგან დროებით განთავისუფლებისათვის, განსაკუთრებულ ხელოვნებას იმუშავებენ ამ ახალ საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შეეცადნენ დაარწმუნონ სახელმწიფოები — აგრესიის მორიგი მსხვერპლნი — წინააღმდეგობის გაუწევლად დაპყრობინონ თავიანთი თავი ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეტად დიდი პროტესტის გამოუცხადებლად მისცენ აგრესორს მის მიერ მოთხოვნილი ტერიტორიის ნაწილი. ამასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელი თვეებისა და თითქმის უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩვენ განსაკუთრებით საოცარი ამბების მოწმენი ვართ, რაც შეეხება ესპანეთს, მე აქ უნდა გავიმეორო, რომ იგი ყოველთვის შეასრულებს ერთა ლიგის წესდების ვალდებულებებს, მაგრამ შეუძლებელია მისი იმედი ვიქონიოთ „ევროპის დამშვიდების“ ამ უცნაურ პოლიტიკაში“.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ ესპანეთი ერთა ლიგის დაუხმარებლად უწევს წინააღმდეგობას აგრესორებს, და აკრიტიკებს რა ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტის „მოღვაწეობას“, დელ ვაიო განაგრძობს:

„მე ყველაფერი ეს იმისათვის მომყავს, რომ ასეთი დასკვნა გამოვიტანო: ჩვენ რომ ერთა ლიგის დახმარება გვქონოდა, ჩვენი წინააღმდეგობა უკვე დიდიხანია გადამწყვეტ შედეგებს გამოიწვევდა და მრავალ ასი ათას ესპანელს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. საკმარისი იქნებოდა აღდგენილი ყოფილიყო ვაჭრობის სრული თავისუფლება ესპანეთისათვის. ამასთან მე ვისურვებდი განმემეორებინა ის განცხადება, რომელიც გავაკეთე მე საბჭოს მაისის სესიაზე იმის შესახებ, რომ სრულიად წარმოუდგენელია გერმანიამ და იტალიამ გამოიყენონ ეს გადაწყვეტილება როგორც მსოფლიო ომის გაჩაღების საბაბი.

ამ დისკუსიის პროცესში გამოთქმული იყო იმედი, რომ ოდესმე, ცოტათ თუ ბევრად შორეულ მომავალში, აღდგენილი იქნება ხალხთა უშიშროება, ხოლო ჯერჯერობით დაე, ერთა ლიგა უსაქმურობაში გაიყინოს. ესპანეთის დელეგაციის აზრით, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერთა ლიგის განმტკიცება ამ საშუალებით მოხდება. ერთადერთი საშუალება, რომლითაც ერთა ლიგას შეუძლია განმტკიცდეს, ის არის, რომ ბოლო მოეღოს იმ მეთოდებს, რომლებმაც მისი დასუსტება გამოიწვიეს.

ესპანეთის დელეგაცია კვლავ იმ აზრის მომხრეა, რომელიც მან წინათ გამოსთქვა ერთა ლიგის რეფორმის შესახებ. უეჭველია, წესდების მე-16 მუხლით გათვალისწინებულმა კოლექტიური უშიშროების სისტემამ მარცხი განიცადა შორეულ-აღმოსავლეთში, აბისინიაში, ავსტრიასა და ესპანეთში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საჭიროა მოისპოს თვით კოლექტიური უშიშროების სისტემა. პირიქით, უნდა შეუპოვრობა გამოვიჩინოთ ამ სისტემის გამოყენებაში და იმის ცდაში, რომ იგი უფრო ეფექტიური გახდეს.

მომენტი, როდესაც საშინელი ამბები ემუქრება საყოველთაო მშვიდობიანობას შესაფერისი არ არის იმისათვის, რომ მივმართოთ ისეთ იმპროვიზაციებს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ერთა ლიგის წესდებაში ხორცშესხმული კოლექტიური უშიშროების სისტემის დარღვევა.

მართალია, დასავლეთ - ევროპის სახელმწიფოთა მერყეობამ სახელი გაუტეხა კოლექტიური უშიშროების სისტემას, მაგრამ არ შეიძლება მოვსპოთ ის იარაღი, რომელსაც, თუ მეტი შეუპოვრობითა და ენერგიით იქნება გამოყენებული, ჯერ კიდევ შეუძლიან მშვიდობიანობის დასაცავად დარაზმოს ყველა ისინი, ვისაც არ უნდა დაუშვას, რომ ევროპა და მთელი მსოფლიო საერთაშორისო ტერორის ქაოსში ჩაეფლოს“.

დელ ვაიოს შემდეგ გამოვიდნენ სუჟეიდი (ერაყი), სელპტერი (ესტონეთი) და მუნტერსი (ლატვია).



თბილისი. კარლ მარქსის სახ. მოედნის ხედი.

ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

*

განახლებული თბილისი

რას წარმოადგენდა თბილისი — ჩვენი ჭალარა დედაქალაქი ამ ხუთიოდე წლის წინათ, რა იყო იგი მაშინ და რა არის ახლა?

—„თბილისი ჯერჯერობით სრულიადაც არ არის სანიმუშო ქალაქი. თბილისი ჯერ კიდევ უდიდეს მუშაობას და დახმარებას მოითხოვს იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ქალაქებს გვერდში ამოუდგეს“...

ასე ამბობდა ამხანაგი ლავრენტი ბერია 1933 წელს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს გაერთიანებულ პლენუმზე წარმოთქმულ შესანიშნავ სიტყვაში.

თბილისი იზრდებოდა, თბილისს ემატებოდა ახალახალი სამრეწველო უბნები, იზრდებოდა მცხოვრებთა რიცხვიც, მაგრამ მათ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდას დიდად ჩამორჩებოდა თბილისის კომუნალური მეურნეობის განვითარების დონე. მაგალითად, თვითეულ მცხოვრებზე მაშინ (1933 წელს) მოდიოდა 56,9 ლიტრი წყალი დღეღამეში, ქუჩებში მტვერი და ნაგავი იყო, ქალაქს არ გააჩნდა არცერთი ხეირიანად მოწყობილი ბაღი, ქალაქის არქიტექტურული გაფორმება ულაზათო იყო. ასფალტირებული ქუჩების ფართობი მაშინ ქალაქის ქუჩების ფართობის მხოლოდ 1 პროცენტს უდრიდა.

ჩამორჩენილი იყო თბილისის საქალაქო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი და ამავე დროს თბილისის საბჭოს ზოგიერთი მაშინდელი „ხელმძღვანელი“, რომლებიც შემდეგ ხალხის მტრების ბანაკში აღმოჩნდნენ, „კერზის“ გაყვანის მავნებლურ გეგმებს „ამუშავებდნენ“.

თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ამოცანა თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციის დაჩქარებისა, საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებისა და ამავე დროს მოგვცა ნათელი და კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ეს რეკონსტრუქცია, რა უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რათა თბილისი სანიმუშოდ კეთილმოწყობილ ქალაქთა მწკრივში ჩამდგარიყო.

ამხანაგ ლ. ბერიას ეს მითითებები თავის სამოქმედო პროგრამად გაიხადეს თბილისის ბოლშევიკებმა. დაიწყო ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა ამხანაგ ბერიას მითითებათა შესასრულებლად, თბილისის საქალაქო მეურნეობის გასაჯანსაღებლად, და უკვე დღეს, ხუთი წლის შემდეგ, ჩვენ ყველანი მოწმე ვართ ბრწყინვალე და საშვილიშვილო გამარჯვებებისა, თბილისის გამშვენიერებისა, ზრდისა და აღორძინებისა, მისი გადაქცევისა სანიმუშოდ კეთილმოწყობილ ქალაქად.

განვლილი 5 წელიწადი თბილისის ისტორიის ყველაზე უფრო ბრწყინვალე ხანაა.

წყალსადენის ქსელი ამ ხუთი წლის განმავლობაში 48 კილომეტრით გააფართოვეს. ნავთლუღის, ვაკეს, საბურთალოს და ლენინის რაიონის გადაღმა უბნებს მაშინ წყალი არ ჰქონდათ. ახლა ყველგანაა გაყვანილი წყალსადენის ქსელი. 1933 წლის შემდეგ დამთავრდა ნატახტარის წყალსადენის მეორე წყების სამუშაოები და მაშინდელი 4.200.000 ვედრო წყლის მაგიერ ახლა თბილისის მოსახლეობა 8 მილიონ ვედროზე მეტი საუკეთესო წყაროს წყალს ღებულობს დღეღამეში.

კანალიზაციის ქსელს შეუერთეს 1000 სახლი. ახალი საკანალიზაციო ქსელის საერთო სიგრძე 25 კილომეტრით გაზარდეს. ნიაღვრის კოლექტორები მოაწყეს დავითაშვილის, ბელინსკის, მოსკოვის, საზონოვის და მთელ რიგ სხვა ქუჩებზე.

საქალაქო ტრანსპორტის ხაზითაც ბევრი რამ გაკეთდა, ვიწრო-ლიანდაგიანი ტრამვაის ქსელი ფართო ლიანდაგზე გადაიყვანეს, ტრამვაის ვაგონების რიცხვი გაადიდეს და ახლა, ნაცვლად 136 ვაგონისა (1933 წელს), ქალაქში ყოველდღიურად მუშაობს 182 ვაგონი. ტრამვაის ახალი ლიანდაგი 10 კილომეტრზეა გაყვანილი.

გასული წლიდან თბილისში მუშაობს ტროლეიბუსები. ამჟამად მოძრაობაშია სულ 17 სატროლეიბუსო ვაგონი, ხოლო უახლოეს ხანში ამ რიცხვს კიდევ 5 მიემატება. ახლა გაჰყავთ ახალი სატროლეიბუსო ხაზი ელბაქიძის დაღმართზე.

გადიდებულია საავტობუსო პარკიც. 1933 წელს ქალაქში 9 ავტობუსი მუშაობდა, ამჟამად კი 40 ავტობუსი მუშაობს. გადიდდა აგრეთვე ტაქსების რაოდენობა. ამჟამად ქალაქში მუშაობს 31 ტაქსი

ელექტრომეურნეობის მხრივაც თბილისი ჩამორჩენილი იყო. ახლა თბილისში აშენებენ თბოელექტროცენტრალს, რომელიც ნაწილობრივ წელს იქნება ამუშავებული. ელექტრომეურნეობის ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1933 წელს თბილისმა მიიღო და მოიხმარა 63 მილიონი კილოვატ-საათი ენერგია, ხოლო 1937 წელს მიიღო და მოიხმარა 127 მილიონი კილოვატ-საათი ენერგია.

საგზაო მეურნეობის დარგშიც მნიშვნელოვანი წარმატებებია. 1933 წელს ასფალტირებული იყო 17.600 კვადრატული მეტრი ფართობი, ხოლო ამჟამად ქუჩები ასფალტირებულია 700.000-მდე კვადრატული მეტრის ოდენობით. ქალაქის თითქმის ყველა მთავარი ქუჩა და მოედნები ასფალტითაა დაფარული. ამ ხნის განმავლობაში ააშენეს ჩელუსკინელების ხიდი, გაიყვანეს შესანიშნავი ახალი სანაპირო ქუჩები, გააფართოვეს კალიაევის აღმართი, ახლა აშენებენ მეორე ახალ ხიდს დიდუბეში.

უდიდესი მიღწევები გვაქვს **ქალაქის გამწვანების** დარგშიც. წელს დამთავრდა კულტურისა და დასვენების ახალი პარკის გაშენება ფუნიკულორის პლატოზე. ეს პარკი თბილისის მშვენება და სიამაყე, ატარებს ხალხთა ბელადის, მამისა და მასწავლებლის დიდი **სტალინის** სახელს. განვლილი 5 წლის მანძილზე მოაწყეს და გახსნეს — კომკავშირული ხეივანი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, ვერის პარკი და მრავალი სხვა პარკები. გამწვანების სამუშაოებზე ამ ხნის განმავლობაში დახარჯულია სულ 30 მილიონი მანეთი და მწვანე ნარგავები გაშენებულია 64 ჰექტარზე.

ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოებაშიაც დიდი მიღწევებია. საშენ მასალათა წარმოების ზრდას მოწმობს ის გარემოება, რომ 1933 წელს აგურის ქარხნებმა 15.880.000 ცალი აგური მოგვცეს, ხოლო 1937 წელს მათვე 28.200.000 ცალი აგური გამოუშვეს. საშენ მასალათა მრეწველობის საერთო პროდუქცია 1933 წელს უდრიდა 1.366.900 მანეთს (მტკიცე ფასებით), ხოლო წელს კი ეს მრეწველობა 2.325.300 მანეთის პროდუქციას გვაძლევს.

საბინაო მშენებლობა მაშინ ერთობ ჩამორჩენილი იყო. მას შემდეგ თბილისი გამდიდრდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით, ახალი საცხოვრებელი კვარტალებით, მთელი უბნებით. 1933 წლიდან 1937 წლის ბოლომდე თბილისში აგებულ იქნა 183.000 კვ. მეტრი ახალი საბინაო ფართობი.

მრავალი ჰირვარამის მომსწრე ჩვენი დედაქალაქი თბილისი ააყვავა და ააღორძინა ბოლშევიკების მარჯვენამ. ეს მარჯვენა წარმართა ქართველი ხალხის, ლენინ-სტალინის პარტიის საამაყო შვილმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ. თბილისის მშრომელნი მას უმადლიან დედაქალაქის ასე აყვავებას.

დ. ლომთაძე

ხალხური სიმღერისა და ცეკვის რესპუბლიკური ოლიმპიადა

მეორე დღე

ოლიმპიადის მეორე საღამო გაიხსნა მეჩონგურეთა სახელმწიფო ანსამბლის (ხელმძღვანელი — **ალექსანდრა ფოცხვერაშვილი**) გამოსვლით. ჩვეულებრივი ოსტატობითა და ხალისით შეასრულა ანსამბლმა სხვადასხვა სიმღერები და შაირები. შემდეგ გამოვიდნენ აშუღები ბაშკიჩეთის რაიონიდან, ზესტაფონის რაიონის მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი — **ნიკ. თუთბერიძე**) და ყარაიელი აშუღები **ასკერ მურად-ოღლი და ყურბანოვი.**

აშუღები შესცვალეს ახალსოფლის კოლმეურნე მომღერალთა გუნდმა (ყვარლის რაიონი), რომელსაც **ვ. ხუციშვილი** ხელმძღვანელობს და რომელმაც კარგად შეასრულა ძველებური კახური სიმღერა „შერმაზანი“. შემდეგ იმღერეს აშუღმა **ჯავადოვმა** (ყარაია) და რაგიმ **მარდოვმა,** რომელმაც შეასრულა „ჩობანი“ სალამურზე.

გამოვიდნენ აგრეთვე მათხოჯის კოლმეურნე მომღერალთა გუნდი (წულუკიძის რაიონი) ამხ. **ვლ. გვილავას** ხელმძღვანელობით, ხობის რაიონის ეთნოგრაფიული გუნდი **ბაგ. ნაჭყებიას** ხელმძღვანელობით და ქვემო-სვანეთის რაიონის მომღერალთა გუნდი **იოსებ მუკბანიანის** ხელმძღვანელობით. ამ გუნდმა განსაკუთრებით ეფექტიანად შეასრულა ძველი სვანური სიმღერა „ეუდა“, რომელსაც თან ახლავს მასობრივი ცეკვა. გუნდის მომღერალთა შორის გამოირჩევა იშვიათად ძლიერი და ტკბილი ხმით მომღერალი ქალი **დინოლ ლიპარტელიანი.**

საინტერესო იყო ინდივიდუალურ შემსრულებელთა გამოსვლები ახალციხის რაიონიდან. საუცხოოდ იმღერა კოლმეურნე ქალმა **დუსია ემინოვამ,** რომელმაც შეასრულა სიმღერა „ჯეირან“. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მედოლემ **ილიას კახიძემ,** რომელმაც იმღერა ხალხური საკოლმეურნეო სიმღერა. მოხდენილად გამოვიდნენ აგრეთვე მოცეკვავე **შუშანიკ ვართანოვა,** ჭიბონზე დამკვრელი **ქეიფური ქაშთან-ოღლი** და მოცეკვავე **ასია მურადოვა.** წარმატება ხვდა სომხურ ხალხურ ცეკვათა შემსრულებელ ანსამბლს.

ამავე საღამოს გამოვიდნენ თბილისის რკინიგზელ მომღერალთა გუნდი **ვლ. ბერძენიშვილის** ხელმძღვანელობით, ავჭალის შრომის კომუნის წევრი მოცეკვავენი (ყოფილი უთავშესაფრონი) **სტეფანოვი და ვიშნიაკოვი,** რომლებმაც არტისტული ოსტატობით შეასრულეს სხვადასხვა ცეკვები.

მოცეკვავენი შესცვალა თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურის მუშა-მომღერალთა გუნდმა **ივანე ხატალიშვილის** ხელმძღვანელობით. ამ გუნდმა კარგად შეასრულა მოხეურული სიმღერა ბელადზე. მის შემდეგ გამოვიდა რკინიგზის სადგურის (თბილისი) გურულ მომღერალთა გუნდი **ევგენი კორომზინაძის** ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა, რომელსაც **დ. კავსაძე** ხელმძღვანელობს. გუნდმა კარგად შეასრულა თუში-ქალების სიმღერა (ლოტბარობდა **ქეთო ლოლობერიძე**) და სიმღერა ბელადზე. ეს სიმღერა დამუშავებულია ლოტბარ ქალ ქეთო ლოლობერიძის მიერ და მისი შესრულებით გუნდმა ერთსულოვანი ტაში და ოვაცია დაიმსახურა.

ფეხბურთი

თბილისი — ხარკოვი

გუშინ, 21 სექტემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის „დინამოსა“ და ხარკოვის „სპარტაკის“ ოსტატთა გუნდები.

მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით, ანგარიშით 7:1.

ამრიგად თბილისის „დინამოს“ ჩატარებულ 15 მატჩიდან შეგროვილი აქვს 21 ქულა.

პარტკალენდარი

22 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში უპარტიოთა წრეების ხელმძღვანელებისა და აგიტატორებისათვის შესდგება მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შედეგების შესახებ.

მომხსენებლები: ქართულ ენაზე — ამხ. ლომსაძე, რუსულ ენაზე — ამხ. ბოკუჩავა.

რაიკომის მდივნებმა და პარტორგებმა საჭიროა უზრუნველჰყონ თავიანთი აგიტატორების დასწრება.

○

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1504227, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მიერ ამხ. ბეგლარ პავლეს-ძე ჯანაშიას სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1531771, გაცემული ამავე რაიკომის მიერ 1936 წლის 6 ივლისს ვლადიმერ ივლიანეს-ძე მგელაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0923539, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ვასილ ზაქარიას-ძე კვირიკაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სახელმწიფო სესხი

მოგებათა მესამე ტირაჟის ცხრილი

პაუგებელი გამოშვება

მოგებათა ტირაჟი სწარმოებდა 1938 წლის 11 და 12 სექტემბერს ქალაქ ოდესაში. ტირაჟში გათამაშებულ იქნა 265.000 მოგება 43.703.800 მანეთის რაოდენობით.

მოგება ხვდა სესხის წაუგებელი გამოშვების 53-იეე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს (მოგების თანხაში შედის ობლიგაციების ნომინალური ღირებულება)

სერიების №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა
20264	13*)	500
20390	1—50	150
20521	1—50	200
20556	1—50	150
20619	1—50	200
20685	24*)	500
20690	1—50	200
20755	1—50	200
20940	1—50	200
21079	01*)	3000
21183	44*)	500
21214	1—50	200
21221	37*)	500
21289	1—50	150
21660	08*)	500
21798	29*)	500
22185	32*)	500
22219	43*)	500
22638	1—50	200
22943	1—50	200
23027	1—50	200
23043	37*)	500
23462	17*)	500
23855	08*)	1000
24117	47*)	500
24336	31*)	500
24362	08*)	500
24488	1—50	150
25583	1—50	150
25590	1—50	200
25592	16*)	1000
26078	15*)	500
26217	31*)	500
26318	1—50	150
26421	1—50	200
26661	07*)	1000
26898	1—50	200
27049	33*)	1000
27186	07*)	500
27622	28*)	500
27878	47*)	500
27889	12*)	500
28140	08*)	500
28193	1—50	150
28538	15*)	1000
28983	1—50	200
29415	29*)	500
30466	1—50	150
30690	22*)	500
31082	17*)	500
31427	1—50	150
31763	42*)	500
31810	1—50	200
31970	1—50	200
32302	12*)	500
32801	27*)	500
33012	1—50	150
33208	1—50	200
33251	17*)	500
34109	50*)	500
34333	18*)	500
34406	41*)	500
34422	1—50	200
34433	1—50	200
34681	19*)	500
34699	31*)	500
34947	1—50	150
35204	19*)	500
35522	1—50	150
35587	39*)	500
35607	1—50	150
35615	1—50	150
35748	39*)	500
36306	36*)	500
36474	43*)	500
36518	17*)	500
36552	49*)	500
36833	49*)	500
36856	1—50	150
37249	45*)	500
3749	45*)	500
37285	1—50	150
37487	44*)	500
37521	33*)	500
37540	35*)	500
37662	1—50	150
37842	1—50	150
37971	1—50	150
38336	33*)	500
38538	1—50	150
38976	1—50	150
39076	47*)	500
39089	18*)	500
39636	1—50	200
39682	1—50	150
39794	1—50	200
39835	42*)	500
39883	1—50	150
39949	21*)	500
39964	09*)	500
39988	1—50	150

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენმა 49 ნომერმა მოიგო 150 მანეთი თვითეულმა.

„კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული

ძირეული პრესის მუშაკთა კურსების

მსმენელთა მორიგი მეცადინეობა შესდგება რედაქციის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 16)

ხვალ, 23 სექტემბერს, სად. 8 ს.

მსმენელებს ვთხოვთ გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ

პასუხისმგებელი რედაქტორი

ვ. ხატიაშვილი.

გაზეთ-ჟურნალების ხელმომწერთა საყურადღებოდ

გრძელდება ხელისმოწერის მიღება ადგილობრივ და ცენტრალურ გაზეთ-ჟურნალებზე მე-4 კვარტალისათვის.

დააჩქარეთ ხელისმოწერის ჩაბარება და გაგრძელება ჩაბარებული ხელისმოწერისა. ხელისმოწერის ჩაბარების უკანასკნელი ვადაა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებზე 17—23 სექტემბრამდე, ადგილობრივ გაზეთებზე—27-მდე.

ხელისმოწერა ჩააბარეთ „სოიუზპეჩატის“ და საფოსტო განყოფილებებს, აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ ორგანიზატორებს და წერილის დამტარებლებს, რომლებიც მომარაგებული არიან „სოიუზპეჩატის“ საქვითარო წიგნაკებით.

„სოიუზპეჩატის“ თბილისის განყოფილება.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, პ. მ. მდივნის მოადგილისა 3—06—83, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. ჟოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—255